ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 11 იანვარი, 2011 №8 (5393) ფასი: 30 თეთრი

## კიდევ ერთი ცრუბაგრატიონი დააკავეს

გვ.3

# დევნილების გამოსახლებას სუბელიანს გადააყოლებენ



გვ.3

ჯონდი ბაღათურია კობა სუბელიანის წინააღმდეგ



## ნაციონალური მოძრაობა ახალ ელიტას ქმნის

გვ.5



## საქართველო ჭორების ჭურია

გვ.6

## უშბას განათება პრეზიდენტის ბოდვითი იდეაა

გვ.3





გვ.4

## რუსლან ქიშმარია აფხაზეთის დეპუტატი გახდა

მის კონკურენტს ტერაქტი მოუწყვეს



გვ.4

## აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ერისიმედში საძოვრები მიიტაცეს

სოფელი ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს

## ოპოზიცია წელსაც ვერაფერს გახდება



გვ.2

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 ევროსასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ოსების მიერ შეტანილი სარჩელები დახურა

9 „დინამო“ ახალი უცხოელებით ივსება

4 „რეალ ტი-ვი“-ს წინააღმდეგ ვახტანგ კომახიძის სარჩელის განხილვა დაიწყო

5 რატომ მიდის ვაშაძე აზერბაიჯანში

# ოპოზიცია წელსაც ვერაფერს გახდება

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან



***— ბატონო სოსო, ტურისტებისთვის მიმზიდველ 41 ქვეყანას შორის საქართველო მეექვსე ადგილზეაო, ამაყობს ჩვენი ხელისუფლება. როგორ ფიქრობთ, ეს უშველის ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ეკონომიურ და სოციალურ ფონს?***

— უპირველესად ჩნდება განცდა იმისა, რომ ზოგადად პლანეტაზე ტურიზმის საქმე შავად ყოფილა. თუ არ მიხედეს სხვა სახელმწიფოებმა ტურიზმის პერსპექტივას, ისინი გაქრებიან მსოფლიო რუკიდან. ძალიან სასიხარულოა, როცა დამსახურებულად არსებობ რომელიმე რეიტინგში საპატიო ადგილას, მაგრამ ამაზე უფრო მეტი სირცხვილია, როდესაც რეალობა აღმოჩნდება განსხვავებული მოლოდინისგან. ამ რეიტინგის ავტორები, როგორც ჩანს, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმ ვიდეოკლიპების ხილვით, რომლის დამზადებაშიც ჩვენ დავოსტატდით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ამ მიმართულებით არათუ მეექვსე, არამედ პირველი ადგილის პრეტენზიაც გვექნება. ხოლო რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ტურისტულს, რაც შეეხება მომსახურების ხარისხს, რაც შეეხება ფასებს, ტურისტისთვის შეთავაზებულს, ქვეყანაში, სადაც ტურისტი უნდა იკვებებოდეს, თურმე არა ადგილობრივი, არამედ იმპორტული პროდუქტით, როდესაც ამას გააცნობიერებენ ამ რეიტინგის ავტორები, რომელიმე ციფრს ან წინ მიუწერენ, ან უკან ამ ექვსიანს. თავისთავად ძალიან მაღალი ვალდებულებაა ქვეყნისთვის, იყოს საუკეთესო ტურისტული ქვეყნების სიის მეექვსე ნომერი, ამიტომ სატრაბახოთ დრო აღარა გვაქვს, ძალიან სერიოზულად უნდა ვემზადოთ მომავალი ტურისტული სეზონისთვის. თუ კვლავ დავივიწყეთ ის ფაქტი, რომ აქ ჩამოსული ტურისტი უნდა იკვებოს და შარშანდელივით კი აღარ გაორმაგდება, არამედ გაოთხმაგდება იგივე ყველის ფასი, რადგან არ გვაქვს საკმარისი სიმძლავრის საწარმოები ასი ათასობით ადამიანის გამოკვებისთვის. ასე რომ, საფიქრალს უფრო მეტს აჩენს ექვსეულში გამოჩენა ტურიზმის ვარსკვლავებისა, ვიდრე სასიხარულოს. სიხარული იქნება მაშინ, როდესაც ტურისტები დაიწყებენ შემობრუნებას, ანუ დაბრუნებას, ერთხელ გატარებული ტურისტული სეზონის შემდეგ საქართველოში. ვინც შემოვიტყუეთ თუ უკანმოუხედავად ისე გაიქცა, რომ აღარასოდეს მოუნდა აქ დაბრუნება, ეს სატრაბახო ნამდვილად არ იქნება. ამიტომ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა იმისკენ, რომ აქ მოსული ტურისტი შევინარჩუნოთ მომსახურების მაღალი ხარისხით, რაშიც შედის ადამიანთა პირადი კულტურა და ყველასთვის მისაღები ყოფის ელემენტები, რაც ასე მარტივად ქვეყანაში არ იქმნება. ამას უნდა დრო, გამოცდილება და მოტივაცია. დრო ცოტა გვაქვს, გამოცდილებაც ცოტა გვაქვს, მოტივაცია კი კიდევ უფრო ნაკლები, ამიტომ საფრთხეს დღესვე უნდა მივხედოთ, რომ ხვალ არ შევრცხვეთ.

***— ამ ეტაპზე პრეზიდენტის ფავორიტ რეგიონად სვანეთი, მესტია იქცა. როგორც თავად აცხადებს რამდენიმე ასეული მილიონის ჩადებას გეგმავს ამ რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის...***

— როგორც მინიმუმ, ნახევარი მილიარდის მობილიზაციას ფიქრობს ბატონი პრეზიდენტი მესტიის მიმართულებით და ღმერთმა ხელი შეუწყოს ამ კეთილ წამოწყებაში, ოღონდ იქნებ ისიც გვითხრას, საიდან ეს ნახევარი მილიარდი და რის სანაცვლოდ. ამ ჩვენ ტურიზმით დაინტერესებულ ბიზნესმენებს ალბათ ისევ საზოგადოებამ უნდა შეახსენოს ყოველდღე, რომ ქვეყანაში ნაბრძანებია ქამრების შემოჭერა. ოღონდ რას ჰქვია ქამრების შემოჭერა ალბათ კარგად ვერ აცნობიერებს ჩვენი საზოგადოება. ქამრების შემოჭერის პარარელურად მიმდინარეობს პარარელური პარლამენტის, პარარელური მთავრობის სახლის მშენებლობა, მეორე მესამე დედაქალაქების აღჭურვა, ალბათ, მერე კონკურსი იქნება ნუმერაციაზე, რომელი ქალაქი მერამდე დედაქალაქი იქნება. ასევე ტურიზმი იმ პირობებში, როდესაც ზოგადად განათლება და ჯანდაცვა კატასტროფისკენ მიექანება, ვერაფერი მიმზიდველია ტურისტისათვის, რადგან უსაფრთხოების პრობლემები თავად იჩენენ ამ შემთხვევაში თავს. არსებობს ჩვენზე უკეთესი ინფრასტრუქტურის მატარებელი ქვეყნებიც, მაგრამ იქ არსებული სოციალური პრობლემების გამო, სულაც არ არის უსაფრთხო იმ ქვეყნებში ტურისტად გასეირნება. საფიქრალი კიდევ ბევრია, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი, ოღონდ არა იმ მიმართულებით, რომლითაც დღეს მივდივართ. ახლა ოპერის თეატრიც უნდა ავაშენოთ ახალი თურმე ბათუმში, შესანიშნავი უნივერსიტეტის შენობა საკმარისი არ აღმოჩნდა და ახალი უნივერსიტეტი უნდა ავაშენოთ თურმე ბათუმში, ეს უკვე განსახილველი თემაც არ არის, ამას სჭირდება უფრო სერიოზული დასკვნების გაკეთება, ახირების რა დონემდე შეიძლება გაძლოს ქართველმა საზოგადოებამ, როცა მომწოდებელი ამ იდეის, საერთოდ უქამროდ დადის, ხალხს კი აიძულებს, ისე მოიჭიროს ქამარი, რომ შეიძლება სუნთქვაც შეეკრათ.

***— ვსაუბრობთ, რომ ძალიან მძიმეა სოციალური ფონი, რაში ხედავთ გამოსავალს, როდემდე მოითმენს ამ ყველაფერს საზოგადოება?***

— იცით, არასოდეს დამთავრებულა სიკეთით ხელისუფლების თამაში ხალხთან, ამ უკანასკნელის მოთმინების დონის განსაზღვრისათვის. რადგან სოციალურ აფეთქებას თავისი კანონზომიერებანი გააჩნია და შედეგიც ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ნებისმიერი სხვა გზით ხელისუფლების შეცვლის დროს ხდება. გონიერება და მხოლოდ გონიერება, როგორც კმაყოფილთა, ასევე უკმაყოფილოთა მხრიდან, შეიძლება იყოს ის გამოსავალი, რომელიც მშვიდად გაგვატანინებს თავს უფრო სანდო ნაპირისაკენ, რასაც ჰქვია პროგრესი. ჯერჯერობით ამის სურვილი, უფრო სწორად, პოლიტიკური ნება არ ჩანს. მე ვფიქრობ, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის კატასტროფული, თუ ნაბიჯები იქნება გადადგმული სწორი მიმართულებით და უპირველესად ქართულ ცნობიერებაში დაბრუნდება ცნება სამართლიანობისა, როგორც უპირველესი ფასეულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსამართლო, მოუწესრიგებელი, უზარმაზარი განსხვავებების მქონე ქვეყანაში ბევრად დიდი ალბათობაა იმისა, რომ ის მოჩვენებითი სიკეთეც დაინგრეს უმალ, ვიდრე რეალური სიკეთით წასასვლელ გზას მივაგნოთ.

***— ბატონო სოსო, ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ პროცესები გაზაფხულზე დაიძაბებაო, ნაწილი მიიჩნევს 2012 წლამდე არაფერი შეიცვლება, სააკაშვილს ვადა აქვს 2012 წლამდე და საერთაშორისო თანამეგობრობა მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება მის წინააღმდეგო, როგორი იქნება თქვენი პროგნოზები?***

— ალბათ წელიწადის დრონი ასე სეზონებად რომ არ იყოს დაყოფილი, საპროგნოზოც არაფერი ექნება ჩვენს ოპოზიციას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოს სიყვარულს არ განაპირობებს არც სეზონი, არც მზიანი, არც მოღრუბლული ამინდი და არც თავსხმა წვიმა. ეს არის სწორედ პოლიტიკური ძალების განსასაზღვრი და უნდა იყოს დაკავშირებული არა სეზონთან, არამედ იმ პროცესების სიმწვავესთან, რომელიც შეიძლება განვითარდეს ქვეყანაში. ეს უნდა იყოს პოლიტიკური პროგნოზის საგანი და არა ის, მოხდება ეს მცხუნვარე აგვისტოში თუ ყინვიან დეკემბერში. ის, რომ ჩვენთან 2010 წელმა გაიარა ოპოზიციის არცთუ გამრჯე მოთელვის სახით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოტენციალი თუკი სადმე არსებობს, ის უკვე მოძიებულ უნდა იქნეს მშვიდი ოპოზიციური წლის შემდეგ და თუ წელსაც გაგრძელდა მეტი სიამოვნებით ისრების ერთმანეთისკენ სროლა, ვიდრე მზაობა ერთობლივი ძალისხმევით ხელისუფლების შეცვლის, მივიღებთ კიდევ უფრო არაადეკვატურ 2011 წელს ოპოზიციურ ველში და ცალ-ცალკე, საკუთარ სადარბაზოებში მზადება ქვეყანაში სერიოზული ცვლილებების გასატარებლად, რასაკვირველია, იმავე შედეგით დამთავრდება, როგორც არაერთი ასეთი მცდელობა დამთავრდა.

***— თუ ჩატარდა ვადამდელი არჩევნები, სააკაშვილს ვიხილავთ პრემიერ-მინისტრის რანგში?***

— მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო მწვავე ბრძოლაზე მიუთითებს და მით უფრო მეტ აუცილებლობაზე, ოპოზიციისა და საზოგადოების მხრიდან, რადგან რეცეპტები, დანიშნულებანი და აბების სიმწარე, რომელსაც ხალხს სთავაზობს ართევნების დროს ხელისუფლება, უკვე დაგემოვნებულია და მათ მიმართ რაიმე სიკეთის მოლოდინი საზოგადოებაში არ არსებობს.



# „თავისუფალი დემოკრატები" ტელეკომპანიების მიერ უცხოური ფილმების ქართულ ენაზე გახმოვანებას მოითხოვენ

„თავისუფალი საქართველო" „საზოგადოებრივ მაუწყებელს" და სხვა კერძო ტელეკომპანიებს თხოვნით მიმართავს, რომ უცხოური ფილმები ქართულ ენაზე განათავსონ.

როგორც „თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელმა ოთარ ჭითანავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის უცხო ენა, განსაკუთრებით ინგლისური, რა ენაზეც ფილმები გადის ცენტრალური ტელევიზიების ეთერში და ისინი ვერ ახერხებენ სუბტიტრების საშუალებით პროდუქტის სრულყოფილად აღქმას. მისი თქმით, ყოველ საღამოს წამყვან სატელევიზიო არხებზე უცხო, ძირითადად ინგლისურ ენაზე, ქართული სუბტიტრებით გადის ფილმები, რაც იწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტს.

ჭითანავას განმარტებით, ისინი მხარს უჭერენ საქართველოში ინგლისური ენის და სხვა უცხო ენების გაძლიერებულად შესწავლას, რაც ქვეყნის მოდერნიზაციისთვის აუცილებელია, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ხარჯზე.

— ენის სწავლება უნდა მოხდეს განათლების სისტემის მიერ, ხოლო ტელევიზიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაყურებლის უმრავლესობა, რომელიც არ ფლობს უცხო ენას და არც არის ვალდებული ფლობდეს, პრაქტიკულად ვერ ახერხებს სუბტიტრებით პროდუქტის სრულფასოვან აღქმას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ეს იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებამ ქართული ენის სახელმწიფო პალატა და ენის ნორმების დადმგენი სახელმწიფო კომისია გააუქმა. აღნიშნული პოლიტიკა კონსტიტუციის მე-8 მუხლს ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ენა არის ქართული და „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ქართულ ენაზე უნდა მაუწყებლობდეს, — განაცხადა ოთარ ჭითანავამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ბელორუსში ოპოზიციონერების გასათავისუფლებლად ეროვნული საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა

ბელორუსში ოპოზიციურმა პარტიებმა ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს. ამის შესახებ „დოიჩე ველე" წერს. გამოცემის ინფორმაციით, საბჭოს მიზანია, ოპოზიციის დაკავებული ლიდერების გათავისუფლება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ ოპოზიციონერებმა გუშინ საღამოს ოფიციალურად განაცხადეს. პირველივე დღეს საბჭომ სპეციალური დეკლარაცია მიიღო, რომელიც ოპოზიციის მიზნებს და ამოცანებს განსაზღვრავს.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს „გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის", ბელორუსის „სოციალ-დემოკრატიული პარტიის", „სამართლიანი მსოფლიოს", მოძრაობა „თავისუფლებისთვის", ბელორუსის „ეროვნული ფრონტის", დემოკრატიული პროფესიული კავშირების კონგრესის და გაერთიანება „ილაპარაკე სიმართლეს" წარმომადგენლებმა.

— ოპოზიცია იწყებს საკუთარი მოქმედებების კონსოლიდირებას, — აღნიშნა „სამართლიანი მსოფლიოს" ლიდერმა სერგეი კალიკინმა.

ბელორუსში ოპოზიციის წარმომადგენლები 2010 წლის დეკემბერში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

# სომალელი მეკობრეები ქართველ მეზღვაურებს ფიზიკურად უსწორდებიან

სომალელი მეკობრეები ქართველ მეზღვაურებს ფიზიკურად უსწორდებიან, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ერთ-ერთი დატყვევებული მეზღვაურის მამამ, სერგო დევაძემ განუცხადა.

მისი თქმით უკვე ხუთი დღეა დაკავებულ მეზღვაურებს საკვები და წყალი არ მიეწოდებათ. დევაძის განცხადებით, ბოლო პერიოდში გემზე სიტუაცია იმდენად დაძაბა , რომ შესაძლოა დაპირისპირება მეკობრეებსა და მეზღვაურებს შორის მსხვერპლითაც კი დასრულდეს.

— ძალიან კრიტიკული სიტუაციაა. ბიჭებმა მითხრეს, რომ უკვე ხუთი დღეა მათ საკვები არ მიეწოდებათ, ყვებიან, რომ მეკობრეები მათ ღამის საათებში სასტიკად სცემენ, — განაცხადა დევაძემ.

როგორც ცნობილია მეკობრეების დასახმარებლად თანხის შეგროვებაც მიმდინარეობს, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა რაოდენობის თანხაა შეგროვებული მათ დასახმარებლად.

— შეგროვებული თანხის რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია, მისი რაოდენობა სავარაუდოდ დღის ბოლოსთვის გახდება ცნობილი, — განაცხადა მეზღვაურთა პროფკავშირის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩიჯავაძემ.

თხუთმეტი ქართველი მეზღვაური უკვე ოთხ თვეზე მეტია, სომალელი მეკობრეების ტყვეობაში იმყოფება. მეკობრეები მათ გასათავისუფლებლად მილიონ დოლარს ითხოვენ.

**ინტერპრესნიუსი**

# მედვედევმა სამხედრო მაღალჩინოსნები თანამდებობიდან გაათავისუფლა

რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილებით, რუსეთის შეიარაღებული ძალების შვიდმა გენერალმა და შვიდმა პოლკოვნიკმა თანამდებობები დატოვა. კრემლის პრესსამსახურის განცხადებით, პრეზიდენტმა, გარდა გათავისუფლებებისა, რამდენიმე სამხედრო მაღალჩინოსანი დააწინაურა. ფართომასშტაბიანი საკადრო ცვლილებები შეეხო როგორც საზვაო, ასევე სახმელეთო და საავიაციო ჯარების ხელძღვანელობებს. კრემლის პრესსამსახურის განცხადებაში არაფერია ნათქვამი ამ საკადრო ცვლილებების განცხორციელების მიზეზების შესახებ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## „მაესტროსა“ და ეროსი კიწმარიშვილს შორის მოლაპარაკებები გრძელდება

ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელობასა და „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს ეროსი კიწმარიშვილს შორის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

როგორც „მედიანიუსს“ „მაესტროს“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განუცხადა, არსებული დავალინების დაფარვასთან დაკავშირებით, ტელეკომპანიის მმართველ “რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ მფლობელთან ეროსი კიწმარიშვილთან მოლაპარკებები არ დასრულებულა და სანამ არ დამთავარდება. მანამდე რაიმე კომენტარისგან თავს იკავებს. მისი თქმით, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მას როგორც ახალ გენერალურ დირექტორს, სამომავლო გეგმებზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

შეგახსენებთ, რომ 31 დეკემბერს „მაესტროს“ დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა „მაესტროს“ დიდი ვალი დაუტოვა და ის ვალდებულია აღნიშნული ვალები დაფაროს. ღლონტმა კიწმარიშვილს, ვალების დასაფარად და „მაესტროსთან“ კონტარქტის გასაწყვეტად 10 დღის ვადა მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი გზებით ბრძოლას დაპირდა.

ეროსი კიწმარიშვილმა თავის მხრივ „მაესტროს“ დამფუძნებელთა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ მას ამ ტელევიზიასთან ვალი არ აქვს. კიწმარიშვილმა ასევე უარყო არხის ყოფილი გენერალური დირექტორის კახა ბექაურის ბრალდება, მისი მხრიდან სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის შესახებ.

**მედიანიუსი**

## ყარსში თურქი და სომეხი ხალხების მეგობრობის ძეგლს აიღებენ

თურქეთის ქალაქ ყარსში თურქი და სომეხი ხალხების მეგობრობის ძეგლს აიღებენ. 30 მეტრიანი მონუმენტის აღების შესახებ განკარგულება პრემიერ-მინისტრმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გასცა.

„უოლ-სტრიტ ჟურნალის“ ინფორმაციით, ერდოღანის აზრით, „ძეგლი მახინჯურია და ქალაქის არქიტექტურის პეიზაჟში არ ეწერება“.

დამკვირვებლები პრემიერ-მინისტრის ამ ნაბიჯს წანასაარჩევნო ნაბიჯად განიხილავენ — 2011 წლის ზაფხულში თურქეთში საპარლამენტო არჩევნების ჩატარდება.

თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობები მთიანი ყარაბაღისა და სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხების გამო კვლავაც დაძაბული რჩება. 1993 წლიდან ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები და საზღვარი დახურული რჩება.

**ინტერპრესნიუსი**

## კიდევ ერთი ცრუბაგრატიონი დააკავეს

ბაგრატიონის გვარის უკანონო გამოყენებაზე კიდევ ერთი პირი, ლაშა ტიტანიძე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლაშა ტიტანიძის ადვოკატმა ია მინდორაშვილმა განუცხადა, ლაშა ტიტანიძე თვენახევრის წინ ყალბი მართვის მოწმობის გამოყენების ფაქტზე დააკავეს, მოგვიანებით კი ბრალი ბაგრატიონის გვარის უკანონოდ გამოყენებაშიც წაუყენეს. მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ბაგრატიონის გვარის უკანონოდ გამოყენებისათვის, რამდენიმე თვის წინ ლაშა ტიტანიძის ძმა და მამაც დააკავეს.

ისინი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან და მათ საქმეს ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს.

როგორც ადვოკატმა ია მინდორაშვილმა განაცხადა, სასამართლო პროცესი გადადებული იყო, ვინაიდან ექსპერტიზის პასუხს ელოდებოდნენ. ექსპერტიზიც დასკვნაც უკვე ცნობილია და უახლოესი სხდომაც მალე ჩაინიშნება.

ტიტანიძეებს ბრალად ედებათ ბაგრატიონის გვარის უკანონოდ გამოყენება, რაც ჯარიმას ან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებით, ტიტანიძეებმა გვარი უკანონოდ, საბუთების გაყალბებით გადაიკეთეს.

**ინტერპრესნიუსი**

# დევნილების გამოსახლებას სუბელიანს გადააყოლებენ

## ჯონდი ბაღათურია კობა სუბელიანის წინააღმდეგ

**„ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ მინისტრ კობა სუბელიანს „შეუტია". ოპოზიციონერი დეპუტატი ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე დევნილთა მინისტრის კობა სუბელიანის მისვლას მოითხოვს.**

**ნანა მიშელაშვილი**

გუშინ ბაღათურიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და იმ ფაქტებზე ისაუბრა, რომელიც ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტებმა შეისწავლეს და აღმოაჩინეს. ბაღათურიას თქმით, არის შემთხვევები, როდესაც დევნილთა ზოგიერთი ოჯახის გაყოფა ხდება და ამ გზით ორი და სამი კომპენსაციის მიღება და არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი ოჯახის ხელოვნურად შეერთება ხდება.



— ჩვენმა ექსპერტებმა ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატში აწარმოეს დევნილთა განსახლების პროცესის მონიტორინგი, რომელიც მიმდინარეობს მძიმე, უხეში კანონდარღვევებით. მათ შორის ეჭვი გაჩნდა კორუფციული ფაქტების, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

რა დარღვევების შესახებ საუბრობს ოპოზიციონერი დეპუტატი?

— პირველ რიგში, იკვეთება ოჯახების ხელოვნური შეერთება, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც უბრალო ოჯახებთან გვაქვს საქმე, იმ მიზნით, რომ რამდენიმე კომპენსაციის ნაცვლად ერთი კომპენსაცია მიეცეთ, მაგრამ ადგილი აქვს ასევე ერთი ოჯახის დაშლასაც. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც გამგებელი ან პროვილეგირებული ოჯახია, როდესაც ადამიანი დაახლოებულია ხელისუფლებასთან, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი ირწმუნება, რომ სია აქვს იმ ოჯახების, რომლებმაც რამდენიმე კომპენსაცია აიღეს. მისივე თქმით, არის ოჯახები, რომელთაც საერთოდ არ აუღიათ კომპენსაცია. ამ მასალების მიწოდებას დეპუტატი საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის აპირებს.

ჯონდი ბაღათურიას კიდევ ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ 2 წლის მანძილზე, იძულებით გადაადგილებულ ზოგიერთ პირს დევნილის სტატუსი არა აქვს მინიჭებული. ბაღათურიას თქმით, 2008 წლის შემდეგ ზოგიერთ დევნილს მინიჭებული არა აქვს დევნილის სტატუსი. არადა, დევნილთა შესახებ კანონის თანახმად, კანონში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ.

— ორი წელია ამ ადამიანებს არ ანიჭებენ სტატუსს იმიტომ, რომ არ დააკმაყოფილონ ბინით და არ მისცენ ის კომპენსაცია, რომელიც მათ ეკუთვნით 10 ათასი დოლარის ოდენობით. სამაგიეროდ, სწრაფი ტემპით, ორჯერ და სამჯერ აიღეს კომპენსაცია იმ ადამიანებმა, რომლებიც, ჩვენი აზრით, რაღაც კორუფციაში გაერივნენ, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატის აღშფოთების მიზეზი კიდევ ერთი ფაქტი გახდა. კერძოდ, დევნილთა იძულების წესით გამოსახლება და მათი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლება.

ბრიფინგზე ჯონდი ბაღათურიამ გაიხსენა მთავრობის 28 მაისის განკარგულება, რომელიც გამოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, სადაც აღნიშნულია, რომ დევნილთა საცხოვრებელი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, მათთვის შეთავაზებული ვარიანტებიდან მათ მიერ თავისუფალი არჩევანით ერთ-ერთის შერჩევის შემთხვევაში.

ბაღათურიას განცხადებით, აქამდე დევნილთა მასობრივი, ძალადობრივი გამოსახლება ხდებოდა, მორიგი გამოსახლება 15 იანვარს იგეგმება. ამ ფაქტს დეპუტატი კანონის უხეშ დარღვევად აფასებს.

ბაღათურია კონსულტაციებს აწარმოებს ანტიკრიზისულ საბჭოში შემავალ პარტიების ლიდერებთან და იმედი აქვს, რომ ისინი დათანხმდებიან, სპეციალური განცხადებით მიმართონ პარლამენტის თავმჯდომარეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ანტიკრიზისული საბჭოს წევრია. ანტიკრიზისული საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის სამი ვიცე-სპიკერი: მიხეილ მაჭავარიანი, ლევან ვეფხვაძე და პაატა დავითაია, უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, მრეწველების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, ედპ-ის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა და უმრავლესობის წევრები.

რაც შეეხება დავით ბაქრაძისადმი მიმართვას, მას სავარაუდოდ, ანტიკრიზისული საბჭოს წევრი პარტიები შეუერთდებიან. მიმართვაში ჯონდი ბაღათურია აღნიშნავს, რომ დევნილთა განსახლების პროცესში შექმნილი სირთულეების გამო, პარლამენტის წევრებმა, ანტიკრიზისული საბჭოს შემადგენელი პარტიების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს მოიწვიონ ანტიკრიზისული საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც მიწვეული იქნება ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი.

— საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოგმართავთ თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს და როგორც ანტიკრიზისული საბჭოს წევრს, კოორდინაცია გაუწიოთ ამ პროცესს, — აღნიშნულია ბაღათურიას მიერ დავით ბაქრაძის სახელზე მომზადებულ მიმართვაში.

სანამ პარლამენტის თავმჯდომარე ამ მიმართვას მიიღებს, მანამდე მას იმ პოლიტიკური პარტიების ლიდერები გაეცნობიან, რომლებიც ანტიკრიზისულ საბჭოში შედიან. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება, ვინ უერთდება და ვინ არა ამ მიმართვას.

ბაღათურია იმასაც იხსენებს, რომ ანტიკრიზისულ საბჭოს კობა სუბელიანთან რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა, სადაც მან პირობა დადო, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესში არანაირ ძალადობას ადგილი არ ექნება. ამის დასამტკიცებლად ბაღათურია ამბობს, რომ მათ აქვს აუდიო და საოქმო ჩანაწერი, სადაც მინისტრი ამ საკითხებზე საუბრობს, მაგრამ ეს პირობა დარღვეულია.

— გარდა ამ პირობისა, კანონის მოთხოვნაა დარღვეული, ყველა საფუძველი გვაქვს, რომ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენოთ, — ასეთია ჯონდი ბაღათურიას პოზიცია.

„ქართული დასის“ ლიდერი ასევე დასძენს, რომ მისი მიზანი არ არის დევნილთა საკითხი პოლიტიკური კინკლაობის საგნად აქციოს, მათი მიზანია დევნილთა ძალადობრივი გამოსახლება შეწყდეს და ყველა დევნილს დაუყოვნებლივ მიენიჭოს დევნილის სტატუსი. ბაღათურია აგრეთვე ამბობს, რომ იმ დევნილებს, ვისაც კომპენსაცია ეკუთვნის, ეს თანხები უნდა მიეცეს და დევნილთა ცივილური განსახლების პროცესი მოხდეს.

— არანაირი თარილების დათქმას, არანაირი ხმლითა და ხელკეტით მივარდნას დევნილებთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს, — განაცხადა ბაღათურიამ.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა ისიც განაცხადა, რომ მათ კობა სუბელიანი 31 დეკემბერს დაიბარეს, მაგრამ მაშინ მზად არ იყო და ახლა მინისტრს ანტიკრიზისულ საბჭოს სხდომაზე კვლავ იბარებენ.

ჯონდი ბაღათურია ერთადერთი დეპუტატი არ არის, რომელიც მინისტრ კობა სუბელიანის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს. ამ მხრივ, ოპოზიციის ძირითადი შეტევის ობიექტი სწორედ დევნილთა მინისტრია.

მანამდე სუბელიანის უწყების მუშაობის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს ქრისტიან-დემოკრატებმა და პოლიტიკური პარტია „ჩვენ თვითონ“-ის ლიდერმა.

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების კრიტიკის მიუხედავად, კობა სუბელიანის სამინისტროს მუშაობის მიმართ ღია კრიტიკა არ გამოუთქვამს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს.

კულუარული ინფორმაციით, კობა სუბელიანის მიმართ შენიშვნები მმართველი პარტიის ცალკეულ წარმომადგენლებსაც აქვთ, თუმცა, ისინი ამ დრომდე მინისტრის კრიტიკისგან თავს იკავებენ.

როგორც ამბობენ, კობა სუბელიანი თანამდებობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. ზოგიერთი ოპოზიციონერის მტკიცებით, სუბელიანს პოსტს მას შემდეგ დაატოვებინებენ, როდესაც თბილისის ზოგიერთი ობიექტიდან დევნილთა ნაწილის გამოსახლების პროცესი დასრულდება.

საპარლამენტო კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ დევნილთა მინისტრის პოსტზე თვალი უმრავლესობის ერთ-ერთ წევრს უჭირავს, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ამ პოსტს ვერ მიიღებს.

რით დამთავრდება ოპოზიციისა და კობა სუბელიანის დაპირისპირება და დატოვებს თუ არა დევნილთა მინისტრი სავარძელს, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ქვეყნის პირველი პირები.

სანამ კობა სუბელიანი თანამდებობაზეა, მას მინისტრის რანგში ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე მისვლა და დევნილთა განსახლების საკითხებთან დაკავშირებით საუბარი მოუწევს.

## ახალგორის რაიონში ოსური პასპორტების გაცემის დაწყების დრო გაურკვეველია

ახალგორის რაიონში ოსური პასპორტების გაცემის დაწყების დრო გაურკვეველია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ახალგორის მოსახლეობამ აცნობა.

— პასპორტების გაცემა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ და არც არავის მოუთხოვია, რადგან თავად საახალწლო დასვენება ჰქონდათ და მხოლოდ დღეს განაახლეს მუშაობა, — განაცხადეს ახალგორელებმა.

მათივე ინფორმაციით, ასევე შეწყვეტილია ე.წ. ფორმა №9-ის გაცემა, რომელსაც ცხინვალის რეჟიმი გასული წლის ოქტომბრიდან გასცემდა.

— ნოტარიუსი, რომელიც ამ ცნობებს გასცემს ამბობს, რომ დააყაჩაღეს და სხვა საჭირო ტექნიკასთან ერთად ბეჭედიც წაართვეს. თუმცა, ჯერ არ არის დადგენილი, რამდენად შეესაბამება მისი ნათქვამი სიმართლეს, — განაცხადეს ახალგორელებმა.

ცხინვალის რეჟიმმა ახალგორის რაიონში ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტის გაცემის დაწყება ოქტომბრის დასაწყისში გამოაცხადა, თუმცა, მოგვიანებით, პროცესის დაწყება 2011 წლის იანვრისთვის გადაიტანა.

დე-ფაქტო ადმინისტრაცია ახალგორის მოსახლეობისგან საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას და ქართული პირადობის მოწმობების ჩაბარებას მოითხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

## უშბას განათება პრეზიდენტის ბოდვითი იდეაა

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ნიკიტა ხრუშოვის მსგავს „ბოდვით იდეებში“ ადანაშაულებს.

ამის შესახებ ცაგარეიშვილმა პრეზიდენტის მიერ უშბის განათების იდეასთან დაკავშირებით განაცხადა.

ცაგარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს იდეა პრეზიდენტს გამოქვაბულში გამართულ მთავრობის სხდომაზე დაებადა და ახლა გაახმოვანა.

— ასეთი იდეა შეიძლება მხოლოდ გამოქვაბულში დაიბადოს, — განაცხადა ცაგარეიშვილმა და ნიკიტა ხრუშოვის „ბოდვითი იდეები“ გაიხსენა.

კერძოდ, როგორც ცაგარეიშვილი ამბობს, ხრუშოვს სურდა რამდენიმე მდინარე კასპიის და არალის ზღვებში გადაემისამართებინა და ასევე, სურდა ციმბირში სიმინდის ყანები მოეყვანა.

— ჩვენ პრეზიდენტს ფეხსაცმლის გახდა და ტრიბუნაზე დარტყმალა დარჩა, ალბათ ამასაც სისრულეში მოიყვანს თებერვალში, პარლამენტში რომ მოვა, — დასძინა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი ვარაუდობს, რომ ქვეყნის პირველმა პირმა საერთოდ არ იცის უშბის სიმაღლე და არც ის ფაქტი, რომ უშბა საკმაოდ რთული დასაძლევი სიმაღლეა.

შესაბამისად, ცაგარეიშვილს აინტერესებს როდის გამოავლენს ხელისუფლება იმ ალპინისტს, რომელსაც უშბაზე ასვლას და იქ განათების ბოძების დამაგრებას დაავალებენ.

— ამ ქვეყანაში ყველაფერი განათებულია, ყველას გონება განათებულია და ახლა უშბაღა დარჩა გასანათებელი. ამის მერე ალბათ თეთნულდს გავანათებთ, შემდეგ შხარას და შხლელდას, — დასძინა გიორგი ცაგარეიშვილმა.

უშბის განათების შესახებ პრეზიდენტმა 8 იანვარს, მესტიაში განაცხადა.

უშბა მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონზე, ორთავიანი მწვერვალია და იალბუზის სამხრეთ-აღმოსავლეთში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის პატარა შტოზე მდებარეობს.

მისი სიმაღლე 4700 მეტრია. უშბის ფერდობებიდან ეშვება მყინვარები გულის და უშბის. უშბაზე პირველად, 1934 წელს ალექსანდრე ჯაფარიძე ავიდა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსლან ქიშმარია აფხაზეთის დეპუტატი გახდა

## მის კონკურენტს ტერაქტი მოუწყვეს

თეა მარხვაი ე

**რამდენიმე თვის წინ აფხაზეთის პარლამენტის წევრი იური კერესელიძე გარდაიცვალა. აფხაზებს დეპუტატი დაკრძალული არ ჰყავდათ, რომ განაცხადეს, მალე გალის ოლქში რიგგარეშე არჩევნებს ჩავატარებთო.**

მიმდინარე წელს აფხაზეთში თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. არჩევნები თებერვალში გაიმართება. თავდაპირველად იყო ვარაუდი, რომ რიგგარეშე არჩევნები ვადამდელთან ერთად ჩატარდებოდა. მერე ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ ეს არჩევნები სხვა დროს ჩაეტარებინათ.

წინასწარი ვარაუდით, თვითმმართველობის არჩევნებზე აფხაზეთში დიდი ამბები დატრიალდება. იქაური ოპოზიციონერები დიდი ამბების დატრიალებით იმუქრებიან. ამით ისინი ჩვენებურებს ძალიან ჰგვანან. წინასწარ ბევრს იმუქრებიან, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მივა, ვერაფერს ველარ აკეთებენ ხოლმე. ამის გარდა ჩვენებურების მსგავსად ვერც გაერთიანებას ახერხებენ.

როგორ ჩაივლის თვითმმართველობის არჩევნები, ამაზე თებერვალში ვისაუბროთ. წინასწარი ვარაუდით, რამდენიმე მცირე ზომის სკანდალი გარდაუვალია. სკანდალი არც რიგგარეშე არჩევნებს მოჰკლებია. დეპუტატობის ერთ-ერთ კანდიდატს ტერორისტული აქტიც კი მოუწყვეს.

გალის დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად ორი კანდიდატი იბრძოდა. ერთი მათგანი ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი რუსლან ქიშმარია იყო. ეს უკანასკნელი გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჯერ კიდევ არძინბას დროს დაინიშნა.

ამ თანამდებობაზე ის არც სერგეი ბაღაფშს დაუნიშნავს. ის აქამდე ამ მოვალეობას ასრულებდა.

მის გარდა არჩევნებში მონაწილეობას გოჩა მალაღონიაც ღებულობდა. ეს უკანასკნელი ისევე, როგორც რუსლან ქიშმარია, ომის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

არძინბას რეჟიმმა მას დამსახურება დაუფასა. ის აფხაზეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი — ლეონის ორდენით არის დაჯილდოვებული. ამ ორდენებით აფხაზები გამოჩენილ მებრძოლებს აჯილდოვებდნენ. აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, რა დამსახურებები უნდა ჰქონდეს მალაღონიას.

ტერორისტული აქტი სწორედ აფხაზეთის ეროვნული გმირის წინააღმდეგ განხორციელდა. მისი აფეთქება გალის რაიონის სოფელ მეგობრობაში სცადეს. ტერაქტი მას იმ მომენტში მოუწყვეს, როცა მალაღონია ეკლესიაში შედიოდა.

როგორც ჩანს, მას სწორედ ეკლესიამ უშველა. აფეთქებას მალაღონია ცოცხალი გადაურჩა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, მას საკმაოდ მძიმე ჭრილობები აქვს მიღებული.

გალელების ვარაუდით, მალაღონიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მის არჩევნებში მონაწილეობას უკავშირდება. მოსახლეობა ფიქრობს, რომ ლეონის ორდენის კავალერს ტერორისტული აქტი ქიშმარიას ბანაკმა მოუწყო.



რაც შეეხება ქიშმარიას, მან დეპუტატის მანდატი მოიპოვა. როგორც „აპსნიპრესი“ იუწყება, ქიშმარიამ ამომრჩეველთა ხმების 42 პროცენტი მიიღო. აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო მის უფლებამოსილებას უახლოეს მომავალში ცნობს.

გალის ადმინისტრაციის აწ უკვე ყოფილი თავკაცისთვის პარლამენტი უცხო ხილი არ იქნება. ის უკვე იყო აფხაზეთის პარლამენტის წევრია. პარლამენტში ქიშმარია პირველად 1997 წელს მოხვდა. საკანონმდებლო ორგანოში მაშინ მხოლოდ ერთი წელი დაჰყო.

რუსლან ქიშმარიას სახელი მართალია გალთან ასოცირდება, მაგრამ ის ოჩამჩირელია. 1959 წლის 2 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში დაიბადა. 1976 წელს დაამთავრა ოჩამჩირის №5 საშუალო სკოლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ულიანოვსკის სამხედრო სასწავლებელში ქიმიის კათედრაზე ლაბორანტად მუშაობდა. 1977 წელს საბჭოთა არმიაში წავიდა, საიდანაც 2 წლის შემდეგ ჩამოვიდა.

ჯარმოხდილი ქიშმარია მოსკოვის ხრუნიჩევის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანაში მუშაობდა. იქ სულ რაღაც ერთი წელი იმუშავა. მერე მშობლიურ ოჩამჩირეში დაბრუნდა. აქ ჩაისმწონავ ფაბრიკაში სამი წლის განმავლობაში მუშაობდა.

ამდენი შრომითი სტაჟის დაგროვების შემდეგ ქიშმარიამ, როგორც იქნა ჩააბარა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან იურიდიულ-ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა. ის სპეციალობით სამართალმცოდნეა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მან ოჩამჩირის სატყეო მეურნეობაში დაიწყო მოღვაწეობა. იქ სულ ერთი წელი მუშაობდა.

1989 წელს თავის მშობლიურ რეკაში დაბრუნდა და მასწავლებლობა დაიწყო. ის ბავშვებს ისტორიასა და სამართალს ასწავლიდა.

აქაც ერთი წელი იმუშავა. 1990 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა. ისევე როგორც სკოლაში, აქაც ისტორიას და სამართალს ასწავლიდა. უნივერსიტეტში ის 1992 წლამდე მუშაობდა.

1992 წელს დაიწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. ის ამ ომში ძალიან აქტიურად მონაწილეობდა. იყო გაგრის ბატალიონის მეთაური. 1993 წლის მაისიდან კი სპეცდანიშნულების რაზმ „დელფინის“ მეთაურად დაინიშნა.

ომის დასრულების შემდეგ დელფინების მეთაური გალის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ის 1994 წლამდე მუშაობდა.

1994 წელს ვლადისლავ არძინბამ ის გალის ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა. ამ პოსტზე მან სამი წელი იმუშავა. 1997 წელს ის აფხაზეთის პარლამენტის წევრი გახდა. მან ერთი წლის განმავლობაში იდეპუტატა.

1998 წელს ის არძინბამ კვლავ გალის რაიონში გადაისროლა. ქიშმარია ისევ გადის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა. ეს თანამდებობა მან 2004 წელს საპატიო მიზეზით დატოვა.

იმ წელს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. არჩევნებში მონაწილეობას ანრი ჯერგენიაც ღებულობდა. ჯერგენიას ქიშმარია ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ჰყავდა წარდგენილი.

ჯერგენია ვერ გაპრეზიდენტდა და ქიშმარიამაც ვერ მიიღო ვიცეპრეზიდენტობა, ცოტა ხანში გალი ისევ მას ჩააბარეს.

სხვა აფხაზ ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით, ჯერგენიას ქართულ მხარესთან ძალიან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. ის ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების უცვლელი მონაწილე გახლდათ. მას არც ჟურნალისტების მიმართ ჰქონდა ალერგია. ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ის ქართველ ჟურნალისტებს არ ასხვავებს და ყველას აძლევს კომენტარს.

რამდენიმე წლის წინ მან ჩვენს ხელისუფლებას ნერვები მოუშალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქართული ცის კაბადონზე დიმიტრი სანაკოევის ვარსკვლავი ამობრწყინდა.

მაშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ სანაკოევის მსგავსი ფიგურის პოვნას ჩვენი პოლიტიკოსები აფხაზებშიც აპირებდნენ. რუსლან ქიშმარიას თუ დავუჯერებთ, ჩვენმა ხელისუფლებამ თვალი სწორედ მას დაადგეს.

ქიშმარია ჟურნალისტებს მოუყვა, რომ მას პირდაპირ შესთავაზეს გამხდარიყო აფხაზი დიმა სანაკოევი. ქიშმარიამ შემთავაზებლებიც დაასახელა. მისი მტკიცებით, ეს ცუდი საქმე მას გივი თარგამაძემ და გიგა ბოკერიამ შესთავაზეს.

# აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ერისიმედში საძოვრები მიიტაცეს

## სოფელი ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს

**უკვე კარგა ხანია სიღნაღის რაიონის სოფელი ერისიმედი ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვს. უკრაინელი აკრობატებით აღფრთოვანებულ ჩვენს ხელისუფლებას კი მათი პრობლემები საერთოდ არ აინტერესებს. არც ის აინტერესებს, რომ ეს სოფელი საზღვრისპირაა და მას აზერბაიჯანი გვედავება.**

თეა მარხვაი ე

სოფლის საკითხი შეიძლება რამდენიმე დღეში გაირკვეს. არ არის გამორიცხული, ერისიმედი მთლიანად აზერბაიჯანის ხელში გადავიდეს. ჯერჯერობით აქ ისევ საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება. რაც აზერბაიჯანელებს თვითნებობაში ხელს სულაც არ უშლის.

სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედის მაცხოვრებლები საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ. ადგილობრივების თქმით, საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში აბსოლუტურ უყურადღებობას იჩენს იმ ტერიტორიების მიმართ, რომელიც საქართველოს იურისდიქციაში შედის, მაგრამ სინამდვილეში, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ.



— დასახლებული პუნქტი რომ მთავრდება, 100 ჰექტარზე მეტი საძოვარი მიწებია, მაგრამ ვერ ვსარგებლობთ. ეს მიწები საქართველოს ეკუთვნის, ჩვენია, მაგრამ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ და მეზობელი აზერბაიჯანული სოფლის საქონელი ბალახობს. ახლოს ვერ მივდივართ, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გვემუქრებიან, დაგაკავებთო. ამ მიწებით აქ ჩამოსახლების დროს ჩვენ ვსარგებლობდით. როდის გახდა ამხელა ტერიტორია მაგათი, არ ვიცით. იმ ტერიტორიაზე ჩვენი საქონელი თუ მოხვდა, მიჰყავთ და აღარ გვაძლევენ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერისიმედის მკვიდრმა დათო მახარაძემ.

სოფელი ერისიმედი სიღნაღიდან 65 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სოფელი 1989 წელს დაარსდა. ოფიციალურად ერისიმედი სიღნაღის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და საქართველოს იურისდიქციაშია, თუმცა სასაზღვრო კონტროლის გავლის გარეშე სოფელში შესვლა აკრძალულია. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საგუშაგო სოფელში შესვლამდე, დაახლოებით 1 კილომეტრში დგას. სასაზღვრო კონტროლის გავლის ვალდებულება მხოლოდ სოფელში მუდმივად მცხოვრებთ არ ეხებათ.

აქ განსაკუთრებული მდგომარეობა მას შემდეგ დაწესდა, რაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ ერისიმედის მკვიდრი 16 წლის ახმედ (იბრაგიმ) გაურგაშვილი მოკლა, რომელიც მინდვრიდან საქონლის სახლში გარეკვას ცდილობდა. აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ ბიჭს თავში გაუფრთხილებლად ესროლა.

საქართველოს ხელისუფლების არაერთი დაპირების მიუხედავად, ეს ფაქტი დღემდე გამოუძიებელია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, მკვლელობის შემდეგ ქართველი მესაზღვრეები ერისიმედში ვიდეო და ფოტოგადაღებასაც კრძალავენ.

ჟურნალისტურ გამოძიებაზე მუშაობისას კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ის ადგილიც მოინახულა, სადაც მკვლელობა მოხდა.

შემთხვევის ადგილზე ხეებით გაკეთებული ღობეა გავლებული. ღობე ერისიმედის მცხოვრებლებს გაუკეთებიათ იმ მიზნით, რომ მათი კუთვნილი საქონელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ გადასულიყო. თვითმხილველების თქმით, ახმედ გაურგაშვილი ღობის ძირში ეგდო, საქართველოს მხარეს.

ჯიპიესმა დააფიქსირა, რომ მკვლელობის ადგილი, საბჭოთა კავშირის დროინდელი ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაა.

აზერბაიჯანთან ჩვენს ხელისუფლებას განსაკუთრებული თბილი ურთიერთობები აქვს. შესაბამისად, საეჭვოა ეს საქმე გამოიძიონ და დამნაშავე მესაზღვრე დასაჯონ, რომელმაც საქართველოს მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზე მოკლა.

ჩვენი ხელისუფლება აზერბაიჯანზე ბევრი რამით არის დამოკიდებული. შესაბამისად ერისიმედის საკითხმაც შეიძლება ჩვენში უიმედობა გააჩინოს. ჩვენ უკვე არაერთხელ ვიუწყებოდით, რომ სოფლის ნახევარი შესაძლოა აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდეს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლება რაიმე კონკრეტულ კომენტარს არ აკეთებს. ჩვენებურები მარტო რუსული აგრესიის გამო კივიან, ისიც ძალიან საეჭვოდ და გაურკვევლად. არადა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ წაგვართმევს ტერიტორიას რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი თუ სომხეთი.

# „რეალ ტი-ვი“-ს წინააღმდეგ ვახტანგ კომახიძის სარჩელის განხილვა დაიწყო



ტელეკომპანია "რეალ ტი-ვი“-ს წინააღმდეგ ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის სარჩელის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ დაიწყო. სასამართლო ასევე ვახო კომახიძის შვილის, უტა კომახიძის სარჩელს განიხილავს. ვახო და უტა კომახიძეები „რეალ ტი-ვი“-ს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაში ადანაშაულებენ, მისგან ბოდიშის მოხდას და სიმბოლურად 1 ლარის დაკისრებას ითხოვენ.

საქმე ეხება კომახიძის საქართველოდან წასვლასთან და შვეიცარიისთვის თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებით „რეალ ტი-ვი“-ს მიერ მომზადებულ სიუჟეტს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომახიძეების ადვოკატმა თამარ კორძაიამ განუცხადა, 24 იანვარს სასამართლო სხდომა მოწმეთა დაკითხვით განახლდება. დაიკითხება ერთი მოწმე, რომლის დაკითხვის შუამდგომლობაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე კი, მოსარჩელეებმა და მოპასუხემ განმარტებები გააკეთეს და შეკითხვების დასმის ეტაპიც გაიარეს. პროცესს ესწრება კომახიძის შვილი უტა კომახიძე. რაც შეეეხება ვახო კომახიძეს, იგი შვეიცარიაშია, სადაც პოლიტიკური დევნილის სტატუსი მისცეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროსასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ოსების მიერ შეტანილი სარჩელები დახურა

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ეთნიკური ოსების მიერ შეტანილი სარჩელების ნახევარი დახურა.

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 3300 სარჩელიდან 1549 საქმე ოსური მხრიდან სასამართლოსთვის აუცილებელი ინფორმაციის წარუდგენლობის გამო დახურა.

„რია ნოვოსტის“ მიერ გავრცელებული აღნიშნული ინფორმაცია „მედიანიუსს“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროშიც დაუდასტურეს.

ცნობისთვის: საუბარია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, რომლის შემდეგაც

ე.წ. სამხრეთ რესპუბლიკამ საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის ბრალდებით, სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა. სასამართლომ ოსურ მხარეს სარჩელების განსახილველად საჭირო ინფორმაცია ორჯერ მოსთხოვა, თუმცა უშედეგოდ. რის შემდეგაც, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, სტრასბურგის სასამართლომ საქმეების ნახევარი დახურა.

**მედიანიუსი**

# ნაციონალური მოძრაობა ახალ ელიტას ქმნის

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, სააკაშვილი აცხადებს, რომ მესტიაში 400-500 მილიონს ჩადებს, რამდენად ნორმალურია მისი ქმედება იმ ფონზე, როდესაც პენსიებს ვერ არიგებენ და ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია. როგორც საუბრობენ, საახალწლო კონცერტებიც ძალიან ძვირი დაჯდა...***

— ეს საახალწლო კონცერტები არ ემსახურებოდა ხალხის ინტერესებს და ხალხის გართობას. ეს ყველაფერი პირადად მათ გართობას ემსახურება. მშვენივრად ერთობიან ეს ადამიანები, მათ ეს ქვეყანა ჰგონიათ თავიანთი სამფლობელო და თავიანთ სამფლობელოში როგორც უნდათ, ისე ერთობიან. კი არსებობს ძველი რომაული გამოთქმა, მიეცი ხალხს პური და სანახაობა და ისინი გაჩერდებიანო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ მდაბიო ხარისხის სანახაობას გვთავაზობენ, ხოლო პურს რაც შეეხება, პურის ნაკლებობა არის ხალხისთვის და მე ვფიქრობ, ეს არის სამარცხვინო და ამაზრზენი ქმედება. როგორ შეიძლება მომღერლებს მილიონები უხადო შენი პირადი გართობისათვის იმ დროს, როდესაც ვეტერანები შიმშილით კვდებიან, ინტელიგენციის წარმომადგენლებს კაპიკი ფული არა აქვთ და ისინი 80 ლარზე ცხოვრობენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი ბავშვის სიცოცხლეს გადავარჩენდით, რომლებსაც გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებათ უცხოეთში, ეს კონცერტები რომ არ ჩაგვეტარებინა და ეს მილიონები ამ ბავშვებისთვის გადაერიცხათ და ამ ბავშვებს ოპერაციები გაეკეთებინათ და მათი სიცოცხლეები გვეხსნა. ეს არის ამაზრზენი ქმედება, რომელ ქმედებასაც დიქტატორულ სახელმწიფოებშიც კი, რომელიც ისტორიაში არის ცნობილი, არ სჩადიოდა არც ერთი დიქტატორი. ეს არის პირადი გართობისთვის მოწყობილი ღონისძიებები, მდაბიო ხარისხის. მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ, ნაციონალურმა მოძრაობამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას ახალი ელიტა, რომელმა ელიტამაც უნდა მართოს ქვეყანა. ეს დავალებული აქვს რამდენიმე ცნობილ ქალბატონს, რომ ეს ელიტა შექმნან. გეტყვით იმასაც, რომ ზუსტად ასე იქცეოდნენ ბოლშევიკები, რომლებმაც მთელი ინტელიგენცია, მთელი ელიტა და თავადაზნაურობა ამოწყვიტა და მათ შექმნეს შემდგომში წითელი ინტელიგენცია და წითელი ელიტა. ანალოგიური ხდება ახლაც, იქმნება ნაცელიტა, რომელსაც მაქსიმალური ფინანსური ხელშეწყობა აქვს, რათა საბოლოოდ დამკვიდრდეს ეს ფენა ქართველ საზოგადოებაში. ეს ფენა კი, რა თქმა უნდა, ვერ დამკვიდრდება და ნინა წკრიალაშვილი მაკა ასათიანი ვერასოდეს ვერ გახდება, თუნდაც იმიტომ, რომ ის ნინა წკრიალაშვილია და მაკა ასათიანი მაკა ასათიანია. ძალიან დიდი გზა უნდა გაიაროს ამ ქალბატონმა, რომ ამ ელიტას ეზიაროს. მე უბრალოდ შედარებისთვის მოვიყვანე ეს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამაში საკმაოდ დიდი ფინანსები იხარჯება და ვინც არსებულ ხელისუფლებას დაემორჩილება, ვინც მათ გაუგორდება ან შეუგორდება, რა თქმა უნდა, მათ ყველანაირი მატერიალური პრობლემა ეხსნებათ. ეს არის ამაზრზენი ქმედება, რომელიც ელემენტარულად სამარცხვინოა და რომელიც სირცხვილის ბოძზე გაკვრას იმსახურებს და არა შექებას. მე ვფიქრობ, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს არც ერთ ქვეყანაში და მით უმეტეს, საქართველოში.

***— ბატონო სანდრო, თქვენ მოშიმშილე ვეტერანები ახსენეთ და როგორია თქვენი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით რაც ახალი წლის დღეებში მოხდა?***

— ამ ხელისუფლებისგან სხვას რას უნდა ელოდე, ეს თვალნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ეპყრობა ხელისუფლება თავის ხალხს. მათ ერთი რამ ვერ გათვალეს, ადამიანები, რომლებიც სამშობლოს გულისთვის თავს წირავენ, მათდამი დამოკიდებულებას როდესაც დაინახავს ახლანდელი ჯარისკაცი, რა თქმა უნდა, ისიც იფიქრებს, რომ გაივლის გარკვეული დრო და ისიც იგივე მდგომარეობაში ჩავარდება, რა მდგომარეობაშიც ჩავარდნენ ეს მეომრები. ეს იყო ამაზრზენი და სამარცხვინო ქმედება და იმდენად ამაზრზენი იყო ეს ყველაფერი, რომ მათმა პატრონმაც კი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სახით, საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა თავისი ქვეშევრდომები. დღეს საქართველოს რეალური ხელისუფალი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ხოლო ეს ადამიანები არიან მათი ნებასურვილის უტყვი შემსრულებლები. ჩვენი ხელისუფლება პირდაპირი შთამომავალია კომუნისტური ხელისუფლებისა. თქვენ გეცოდინებათ მჟავანაძის პერიოდი, შევარდნაძის პერიოდი, როდესაც ისინი იყვნენ მეფის ნაცვლები საქართველოში, ხოლო მათი რეალური პატრონი იყო კრემლი და რუსეთი. სწორედ ისეთივე მეფის ნაცვლები არიან ესენი. ამერიკის შტატების ხელისუფლებამ ერთი რამ უნდა გათვალოს, რომ სწორედ მათი დისკრედიტაცია ხდება, როდესაც მათი ქვეშევრდომები ასე იქცევიან. როდესაც ამერიკის ელჩმა გააკრიტიკა ხელისუფლების ქმედება, მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს ეს მეომრები. მე სიტყვებსაც ვერ ვპოულობ თუ რამდენად შეურაცხმყოფელია ეს ფაქტი თითოეული ქართველისთვის.



***— სააკაშვილს დისკომფორტი შეექმნა, როდესაც ჩაიარა და მოშიმშილეები დაინახა...***

— მე არ მაინტერესებს, ვინ ჩაირა თუ აირა, ფაქტია, რომ ასეთი რამე ხდება. ამას თავი დავანებოთ, მე ის ადამიანი მინდა გავიცნო, რომელმაც იმ ქალბატონს ხელი დაარტყა. დიდი სურვილი მაქვს, რომ გავიცნო ეს პიროვნება, ვნახო ვინ არის, რა ოჯახში გაიზარდა, ვინ არიან მისი მშობლები. სად დაიბადა და გაიზარდა ეს ადამიანი, რა გარემოში აღიზარდა, რატომ გამოვიდა ასეთი ნაძირალა, რომ ქალბატონს ხელს ურტყამს. ეს ადამიანები სათითაოდ უნდა გამოვაჭენოთ, მთელს ქვეყანას უნდა გავაცნოთ ჩვენი დროის „გმირები“.

***— ესენი არიან ზონდერ ბრიგადები, რომელიც სპეციალურად ამ საქმისთვის შექმნა ხელისუფლებამ...***

— ზუსტად ასე არის საქმე, ეს ზონდერ ბრიგადები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთს ასწრებდნენ ქვეყნიდან, როდესაც გენერალი ბორისოვი დაინახეს, ხოლო მე და კიდევ ჩემისთანები ვიდექით და რითიც შეგვეძლო, იმითი ვიცავდით თბილისს. ეს ვირთხები კი ერთმანეთს ასწრებდნენ. ესენი არიან ნამდვილი ვირთხები, რომლებსაც დიდი გული აქვთ მაშინ, როდესაც უმწეო ადამიანს დაინახავენ. მათი სახელები და გვარები უნდა იცოდეს ყველამ. უნდა ვამხილოთ ყველა მათგანი. მათ შთამომავალს უნდა შერცხვეს შემდეგ, რომ ასეთი წინაპარი ჰყავდათ. ისე არაფერი არ გამოვა, ეს არის მხილება, ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მხილებით დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა, როდესაც ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა წამოვიდა. მათ ამხილეს ყველა ის უშიშროების თანამშრომელი, ყველა ის მწამებელი, ყველა ის ჯალათი, რომელიც იმ სისტემაში არსებობდა. ჩვენც უნდა ვამხილოთ ეს ადამიანები.

***— ეს პიროვნება გაათავისუფლეს შს სამინისტროდან.***

— მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკის ელჩმა დაგმო ეს და სამარცხვინო ფაქტი უწოდა. აბა, ერთი მას არ გამოეხატა პროტესტი, იმ ნაძირალას ალბათ ღირსების მედალს დაკიდებდნენ. ასეთი ადამიანები ფაქტია, რომ არსებობენ. ერთი კიდევ ჩინეთში რომ ჰყავთ ელჩად გაშვებული, შავი კაცი რომ არის, მისი გვარი დამავიწყდა, რომ გამოვარდა 7 ნოემბრის დარბევის შემდგომ და მიშა, მიშაო რომ გაჰყვიროდა...

***— ზაზა ბეგაშვილი...***

— ხო ბეგაშვილი, ალბათ, შორენა ბეგაშვილის შორეული ნათესავია. აი, ესეთი ადამიანები სამარცხვინო ბოძზე უნდა იყვნენ გაკრულები, რომ სხვებმა არ გააკეთონ იგივე. აი, ამ პროცესს დავიწყებთ ჩვენ, სულ მალე დავიწყებთ. მე ჰაერზე არ ვისვრი სიტყვებს და კიდევ ერთხელ გეუბნებით, უახლოეს ხანებში შეიქმნება დიდი ეროვნული გაერთიანება, სერიოზული ეროვნული გაერთიანება, რომელიც პასუხს მოთხოვს არა მარტო ხელისუფლების ამ წარმომადგენლებს, არამედ ხელისუფლებასთან შეკრულ ოპოზიციასაც, რომელიც არანაკლები დამნაშავეები არიან ისეთ ქმედებებში, რომელსაც ხელისუფლების ეს წარმომადგენლები სჩადიან. ჩვენ ვამხელთ ყველას და ყველას თავის ადგილს მივუჩენთ და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი, იმ მანკიერი სისტემის დემონტაჟი, რომელი მანკიერი სისტემაც ედუარდ შევარდნაძემ დანერგა და ედუარდ შევარდნაძის სულიერი შვილები და მისი გზის გამგრძელებლები არიან ეს ადამიანები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან თავმოყრილნი.

***— ფონი ძალიან მძიმეა, რას უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში?***

— გადატრიალება-გადმოტრიალებებს არც ველოდები და სიმართლე რომ გითხრათ, არც მაქვს ამის სურვილი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ამ ხელისუფლებას ვაიძულოთ, ნორმალური გზით წავიდეს ხელისუფლებიდან. უნდა ვაიძულოთ, რომ არჩევნების გზით წავიდეს ხელისუფლებიდან და რა თქმა უნდა, ეს არჩევნები არ უნდა იყოს ხუთი და ათი წლის შემდეგ. არჩევნები უნდა ჩატარდეს უახლოეს მომავალში. არ შეიძლება ღვთის მგმობელი, ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ხელისუფლების პარპაში საქართველოში, რომელიც საკუთარ პირად გართობაზე და პირად კეთილდღეობაზე დამყარებული პოლიტიკით მართავს ქვეყანას, მტრის გამოჩენაზე კი ერთმანეთს ასწრებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეს დიდი ეროვნული გაერთიანება აუცილებლად შეიქმნება, სადაც არ იქნებიან არც მოქკავშირის და არც ნაცმოძრაობის შიგნით აღმოცენებული და იქიდან გამოგდებული ადამიანები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილის მიერ თავისი გუნდიდან გამოგდებული ადამიანები სააკაშვილს ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ!

# რატომ მიდის ვაშაძე აზერბაიჯანში

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ მომავალ კვირას დაგეგმილ ვიზიტებზე ისაუბრა. წლის დასაწყისში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ვიზიტი აზერბაიჯანში შედგება.**

17-19 იანვარს გრიგოლ ვაშაძე შეხვედრას თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან გამართავს. არ არის გამორიცხული, რომ ქართველმა მინისტრმა შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილხამ ალიევთანაც გამართოს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ აღნიშნული განცხადების გაკეთების დროს ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის და საქართველოს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას და იმ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას, რომელიც ორი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ნინო კალანდაძის განცხადებით, შეხვედრაზე მინისტრები სხვადასხვა პროექტებთან ერთად ასევე განიხილავენ ეკონომიკურ პროექტებსაც.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი საქართველოში გასული წლის 14 ოქტომბერს ვიზიტით იმყოფებოდა.

მაშინ, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ქართველ კოლეგასთან გამართა შეხვედრა.

შეხვედრაზე განხილული იყო ის საკითხები, რომელიც ორი ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს.

მართალია, პრესისთვის ღიად არ დაფიქსირებულა, თუმცა, ძირითადი განხილვის თემა ბუნებრივია, რომ დავით გარეჯა იქნებოდა.

გასულ წელს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დემილიტაცია-დემარკაციის საკითხზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები უკვე 11 წელია, რაც მიმდინარეობს. თუმცა, საზღვარი ამ დრომდე არ არის დადგენილი.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საკითხის გადაუწყვეტელობა სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ ღირსშესანიშნაობასთან, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთანაა დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ტერიტორიების გაცვლის შესახებ.

ერთ-ერთ პრობლემად იდგა სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედის საკითხი. აღნიშნული საკითხი ისევ დღის წესრიგში დგას.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ მინისტრებს შორის შეხვედრის დროს ერთ-ერთი განსახილველი საკითხიც სწორედ ეს საკითხებიც იყოს.



— საქართევლოს საგარეო საქმეთა მინისტრი უპირველეს ყოვლისა, თავის კოლეგას შეხვდება. როგორც ტრადიციულად ხდება ხოლმე, ასევ შეხვდება აზერბაიჯანის პრეზიდენტს დიდი ალბათობით. ჩვენ აზერბაიჯანთან ბევრი და მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს განსახილველი. არსებობს მიმდინარე პროექტები, მათ შორის ეკონომიკური ხასიათის პროექტები. ჩვენ, ამ სახელმწიფოსთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. ალბათ ამის დასტურიც არის ის, რომ წლის დასაწყისში პირველი ვიზიტი განხორციელდება სწორედ აზერბაიჯანში. — განაცხადა კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ისაუბრა ნინო კალანდაძემ, ეს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს შეეხება.

საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების აღდგენის შესახებ.

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ, შესაძლოა ქართულმა მხარემ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე თურქული ისტორიული ძეგლები აღადგინოს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიებმა უკვე მოამზადეს ოქმი, სადაც უკვე გაწერილია რამდენიმე შეთანხმება.

ოქმი ხელმოსაწერად უკვე გადაეგზავნა თურქულ მხარეს. თუმცა, მხოლოდ თურქეთის პასუხის შემდეგ გაირკვევა საქართველოში არსებული რომელი ისტორიული ძეგლების აღდგენას მოითხოვს ოფიციალური ანკარა.

გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ, თურქული მხარე ბათუმში მეჩეთის აღდგენას ითხოვს.

ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს შორის ყველაზე რთულ მდგომარეობაში ოშკის ტაძარია.

ოშკის გუმბათოვანი ტაძარი, რომლის მშენებლობაც 963-973 წლებში დასრულდა, ყოფნა-არყოფნის პირასაა.

ხახულის და პარხლის ტაძრებში კი თურქული მეჩეთია გახსნილი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთ საკითხზე გაამახვილა ყურადღება კალანდაძემ.

სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების ბედი ისევ გაურკვეველია.

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს მოლაპარაკების გამართავს სომალელ მეკობრეებთან. აღნიშნულ ინფრმაციას ადასტურებს კალანდაძე.

— ქართული მხარე მოლაპარაკებას კვლავ აწარმოებს გემთმფლობელის ადვოკატებთან, რომლებიც თავის მხრივ თავიანთ სადაზღვევო კომპანიებთან არკვევენ საქმის ვითარებას. ჩვენი ინფორმაციის გარკვეულ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველო ჭორების ჭურია

შორენა კოწოწაშვილი

— ასეთ დაქსაქსულ მდგომარეობაში ოპოზიცია არის საშინელება. ამის გამო იქნებ ის მაინც გავაკეთოთ, რომ ერთ რამეში — ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ვიყოთ ერთნი. ყველა პარტია დარჩეს თავის პოზიციაზე, მაგრამ ის, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ იყოს სწორი პოზიცია ჩამოყალიბებული, რომელმაც ვეტერანები ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო, ამაში მაინც შევთანხმდეთ და დავადასტუროთ, რომ ყველანი ჩვენ ამ საკითხში ვართ ერთნი, — აცხადებს თეთრების ლიდერი თემურ შაშიაშვილი. მას მიაჩნია, რომ ოპოზიცია უნდა შეიკრიბოს და ხალხს დაანახოს, რომ ერთ რამეში — სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაში, ოპოზიცია არის ერთიანი.



ალსანიშნავია, რომ ამ შინაარსის განცხადება თეთრების ლიდერმა პირველად დაახლოებით ერთ კვირის წინა გააკეთა, როცა მისი პრესკონფერენცია მისი და ჟურნალისტ ირმა ინაშვილის დაპირისპირების არენად იქცა და ეს მოწოდება ჩაიკარგა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თემურ შაშიაშვილს ირმა ინაშვილმა ცილისწამებაში დასდო ბრალი. ინაშვილის მტკიცებით, თემურ შაშიაშვილმა გაავრცელა ცრუ ინფორმაცია და თქვა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობას, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი თვითონაც არის, პაატა შევარდნაძე აფინანსებს. ინაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია მას გოგი ქავთარაძემ მიაწოდა.

**ირმა ინაშვილი:**

— რას სისტემაზე ლაპარაკობთ, რისი დამმარცხებლები ხართ თქვენ. გამოდი მაგ კრებიდან, აბა, თუ კაცი ხარ. გამოდით და დატოვეთ კრება. დატოვეთ ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, რას ეტენებით ამ კრებას. მე თქვენ გიგულისხმეთ, როცა ვთქვი. რომ ეს კრება ვერაფერს ვერ იზამს, თუ ყველა მას მიეკერება. მაინც მიეკერეთ. რა გინდათ იქ? თქვენ ამბობთ, რომ ამ ხელისუფლებას დაამარცხებთ? დემაგოგიაა, რასაც თქვენ ლაპარაკობთ. ბაკურ ბაკურაძე და სხვა ადამიანები გყავთ ჩართული ამ ჭორებში. ამას პირდაპირ გეუბნებით. არის კაცი, რომელიც ადასტურებს თქვენი ამ ჭორბიუროს არსებობას.

— ვხედავ, რომ თბილისში ძალიან ბევრ ვინმეს ყელზე დავადექი. მე ამ ყველაფერს გავუძლებ, — ამ დასკვნამდე მივიდა შაშიაშვილი, როცა დაინახა, რომ ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში დაჯდომა და სიცრუის უარყოფა მოსთხოვა.

ამ ხმაურიანი პრესკონფერენციის შემდეგ თეთრების ლიდერი გუშინ პირველად წარდგა ჟურნალისტების წინაშე და ოპოზიციას დიდი პოლიტიკური ერთობის დამადასტურებელი შეხვედრის გამართვისკენ მოუწოდა. შაშიაშვილის თქმით, დაპირისპირება ოპოზიციაში ხელს მხოლოდ ხელისუფლებას აძლევს.

თეთრების ლიდერი ხელისუფლებას ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ჭორების აგორებით, ინტრიგებში ჩაბმით და შანტაჟით დაპირისპირების მცდელობაში ადანაშაულებს.

შაშიაშვილის განცხადებით, ოპოზიციის გაერთიანებისა და ეროვნული კრების მიმართ გადადგმული ნაბიჯები ხელისუფლებას აშინებს და ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობს.

— გაურკვევლობაზე დიდი მტერი არ არსებობს. ის, რაც ჩვენთან მოხდა, შემდგომ კიდევ უფრო გაფართოებული შემადგენლობით „წინააღმდეგობის მოძრაობის“ და ობიექტივის ოფისში გაგრძელდა. მე საერთო სახალხო წარმომადგენლობითი მოძრაობის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავს პირადად შევხვდი. ის ძალიან ჭკვიანი ადამიანია და შეუძლია ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთოს. ასევე ვფიქრობ, უნდა გაირკვეს ასავალ-დასავალის სკანდალი და მისი სამივე მონაწილე — მიხეილ სააკაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე და ნინო ბურჯანაძე ერთად დასხდნენ და საქმეს ნათელი მოფინონ. ვინც უარს იტყვის, სწორედ ის ტყუის. თუმცა ნათელია, რომ ყველაზე დიდი დამნაშავე ისაა, ვინც ამ ინტრიგებს აწყობს და ესაა ხელისუფლება. დაყავი და იბატონეს პრინციპზეააწყო ქვეყანა ხელისუფლებამ. ქვეყანა დასმენებისა და ჩაშვების რეჟიმში გადაიყვანეს, შედეგად კი საქართველო დღეს ჭორების ჭურია, — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა. მისი თქმით, ასეთ დროს ქვეყანას დიდი ერთობა სჭირდება, განსაკუთრებით ოპოზიციაში და ეროვნული კრების მიმართ მორალური ავტორიტეტების და პოლიტიკოსების გაერთიანება შეძლებს მართლაც დიდი სახალხო კრების მოწვევას. ხელისუფლება კი ჭორების გავრცელებით სწორედ მათ დაპირისპირებას ცდილობს.

რაც შეეხება ინაშვილის ბრალდებებს, შაშიაშვილის თქმით, იგი არ აპირებს თავის მართლებას, რადგან ყველაფერი ტყუილია.

— თავის მართლება არ მჭირდება და არც არარსებულზე ვაპირებ ლაპარაკს. ხმამაღლა ვაცხადებ, ყველაფერი ტყუილია ან დამახინჯებული ფორმით არის წარმოდგენილი. ვილაც ფიქრობს, რომ ეს ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა. ჩვენ ამას არ ვიჯერებთ, თუმცა გარეგნულად ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ ეროვნულ კრებას საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია.

— საჭიროა დიდი პოლიტიკური ერთობის დამადასტურებელი შეხვედრა. დარწმუნებული ვარ, ძველით ახალი წლის შემდეგ ის მაინც შედგება, მით უფრო, რომ ასეთი ერთობის სათავეებთან ბოლო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“, ქართული აკადემია, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია დგანან, — აღნიშნა ბოლოს შაშიაშვილმა.

# რატომ მიდის ვაშაძე აზერბაიჯანში

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თანხაზე არის საუბარი, რომელზეც არის მზადყოფნა გემის მფლობელის მხრიდან, რომ იქნება გადახდილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ის თანხა არ არის, რომელსაც ამ ეტაპზე მეკობრეები ითხოვენ. შესაბამისად მოლაპარაკების პროცესი, რამდენად არის შესაძლებელი რაიმე თანხის მოპოვება რთული პროცესია და ამის ასე მარტივად არ გადაწყდება. — განაცხადა კალანდაძემ.

კალანდაძის ინფორმაციით, გემის მფლობელი მზად არის ქართველი მეზღვაურების სანაცვლოდ მეკობრეებს გარკვეული თანხა გადაუხადოს. თუმცა, მეკობრეები აცხადებენ, რომ გამოსასყიდი ცოტაა და ქართველი ტყვეების განთავისუფლებაზე უარს ამბობენ.

ბერძნული დროშის ქვეშ მცურავ სატვირთო გემს სომალელი მეკობრეები 8 აგვისტოს დაესხნენ თავს.

ქართველი მეზღვაურები სომალელი მეკობრეების ტყვეობაში ხუთი თვეა, რაც იმყოფებიან. მათი განცხადებით, ის პირობები, რომელშიც მათ ცხოვრება უწევთ, უკვე აუტანელია.

დატყვევებული ქართველი მეზღვაურების ახლობლების განცხადებით, მათ ერთი თვის შემდეგ მოახერხეს მცირე ხნით დაკავშირება. სწორედ მაშინ მიიღეს ინფორმაცია, რომ ხუთი დღეა, რაც საკვები და სასმელი წყალი არ მიუღიათ. დატყვევებულები გაუსაძლის პირობებში არიან. ისინი სომალელი მეკობრეებისგან ფიზიკურ შეურაცხყოფას და სასტიკ მოპყრობას თავს ვერ აღწევენ. სომალელი მეკობრეები მეზღვაურების დახოცვით იმუქრებიან.

სომალელმა მეკობრეებმა 2006 წლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები უკვე მეოთხედ აიყვანეს. სომალელი მეკობრეების ტყვეობა 32 ქართველმა გამოსცადა.

სომალელი მეკობრები თავდასხმებს ძირითადად ადენის ყურეში ახორციელებენ, სადაც არც ერთი ქვეყნის იურისდიქცია და სამართლებრივი ნორმები არ მოქმედებს. რამდენადაც ცნობილია, აღნიშნულ ტერიტორიას საერთაშორისო ტერიტორიის სტატუსი აქვს. ამდენად, პასუხისმგებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებზე კონკრეტულად არც ერთი ქვეყანას არ ეკისრება.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტროში ყურადღება გამახვილდა, გასულ კვირას გავრცელებულ ინფორმაციას შეეხებოდა, რომლის თანახმადაც თითქოს პოლონეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება გამარტივდა, რაც ნინო კალანდაძის ინფორმაციით, რეალობას არ შეესაბამება.

## ევროპა წყლით იფარება

ევროპის ქვეყნებში ხანგრძლივი უამინდობის შემდეგ წყალდიდობებია მოსალოდნელი. ბელგიაში თოვლის დნობისა და ხანგრძლივი წვიმების შედეგად წყლის დონემ საგრძნობლად მოიმატა და ქვეყნის რამდენიმე ქალაქი უკვე წყლით დაიფარა. ანალოგიური სიტუაცია იყო ნიდერლანდებშიც, სადაც მდინარე მაასის ადიდების შედეგად რამდენიმე ქალაქი დაიტბორა. თუმცა, ამ ეტაპზე მდინარის წყლის დონე თანდათან იკლებს.

რთული სიტუაციაა გერმანიაშიც. ქვეყნის ქალაქების მმართველობები წყალდიდობების თავიდან ასაცილებლად გარკვეული ზომების მიღებას ცდილობენ. თოვლის დნობისა და ხანგრძლივი წვიმების გამო გერმანიის რამდენიმე ქალაქს, განსაკუთრებით კი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, წყალდიდობა ემუქრება. რთული სიტუაციაა მდინარეების — რაინისა და მოზელის სანაპირო ქალაქებში.

მეცნიერების ვარაუდით, უახლოეს მომავალში მდინარე რაინში, დიდ ქალაქების კიოლნისა და დიუსელდორფის სანაპიროზე, წყლის დონე 9 მეტრს მიაღწევს. ქალაქების ხელისუფლება წყლის შეტევისათვის ემზადება.

მობილიზებულია საგანგებო სიტუაციებისა და სპეცდანიშნულების სამსახურები.ანალოგიური მდგომარეობაა მდინარე მოზელის სანაპიროზე მდებარე გერამანულ ქალაქ კობლენცშიც. მდინარე ჯერ კიდევ კვირას დაიკეტა ნაოსნობისათვის. მდინარეში წლის დონემ უკვე მიაღწია 8.3 მეტრს.

**მედიანიუსი**

## ღუდუშაურის კლინიკამ მუშაობა განაახლა

ო.ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ყველა განყოფილებამ მუშაობა და შესაბამოსად, პაციენტების მიღება დღეს განაახლა.როგორც „მედიანიუსს“ კლინიკიდან აცნობეს, საავადმყოფოს ხელახალი, დროებითი დახურვა ახლო მომავალში აღარ იგეგმება.

ო.ღუდუშაურის სახელობის კლინიკის რეანიმაციულ და ნეონატოლოგიურ (ჩვილ ბავშვთა რეანიმაცია) განყოფილებაში პაციენტების მიღება საავადმყოფოს სანიტარული დასუფთავების მიზნით 20 დეკემბერს შეწყდა, ხოლო სხვა განყოფილებებმა 25 დეკემბერს შეაჩერეს მუშაობა. შეგახსენებთ, რომ ღუდუშაურის სახელობის კლინკა ინტენსიური დასუფთავების და დეზინფექციის მიზნით ყოველწლიურად ორი კვირით იხურება.

**მედიანიუსი**

## რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

რუსთავში, მეგობრობის გამზირის №4 კორპუსის საცხოვრებელ ბინაში გაზის წყლის გამათბობლიდან ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

როგორც ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, ამ დროისთვის ცნობილია, 29 წლის ქალბატონის ვინაობა. გარდაცვლილი მაკა ბუცხრიკიძეა. მეორე გარდაცვლილი კი 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცია.

ბუნებრივი აირის შედეგად ძლიერი ინტოქსიკაციით 22 წლის მარი ავაზნელი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მეზობლების ინფორმაციით, გოგონებს ბინა ნაქირავები ჰქონდათ, მამაკაცი კი მათი სტუმარი იყო.

**მედიანიუსი**

## ადმინისტრაციული პატიმრობისას პირი გასეირნებას მხოლოდ ერთი საათით შეძლებს

ადმინისტრაციული პატიმრობისას პირი გასეირნებას მხოლოდ ერთი საათით შეძლებს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ მსჯავრდებულთა ყოველდღიური გასეირნების წესსაც არეგულირებს.

ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულთა გასასეირნებლად გაყვანა ხორციელდება დღისით, 10.00-დან 18.00 საათამდე, დაწესებულების დირექტორის მიერ შედგენილი გრაფიკით. გასეირნების ხანგრძლივობა კი განისაზღვრება 1 საათით.

გასეირნება არ ეხებათ მსჯავრდებულებს, რომლებიც ავადმყოფობენ და ექიმის დასკვნით მათი გასეირნება რეკომენდირებული არ არის.

ასევე, მსჯავრდებულებს გასეირნების დროს ეკრძალებათ ერთმანეთთან ან სხვა გარეშე პირებთან საუბარი, არაეთიკური ქცევა, რაიმე საგნების და ნივთების მიღება ან გაცემა.

არაკეთილსასურველი მეტეოროლოგიური პირობების, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით გასეირნება შეიძლება გაუქმდეს ან შეიკვეცოს.

გასეირნების ვადამდე შეწყვეტისათვის მსჯავრდებულმა შესაბამისი თხოვნით უნდა მიმართოს გასეირნებაზე პასუხისმგებელ მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულზე ოქმს შეადგენს და მასზე მსჯავრდებულთან ერთად მოაწერს ხელს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება უკვე ძალაშია.

**ინტერპრესნიუსი**

## ევროპარლამენტი მიხეილ ხოდორკოვსკის განაჩენს განიხილავს

ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიხეილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის სასამართლო განაჩენს განიხილავს. ამის შესახებ ინფორმაციას ევროპარლამენტის პრესასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

2010 წლის დეკემბერში მოსკოვის სასამართლომ მიხეილ ხოდორკოვსკი და პლატონ ლებედევი დამნაშავედ სცნო და საერთო რეჟიმის კოლონიაში 14-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მათ ნავთობის ქურდობასა და ფინანსურ მაქინაციებში ედებათ ბრალი. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე დღეში ევროკავშირმა შეშფოთება გამოთქვა იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელსაც სასამართლო საქმის განხილვის დროს ჰქონდა ადგილი.

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონის განცხადებით, ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, სასამართლოს დამოუკიდებლობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას.

— კონვენციას ხელი რუსეთის ფედერაციამაც მოაწერა. ამიტომაც, მისი დაცვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირისა და რუსეთის სტრატეგიულ ურთიერთობებში, — აღნიშნა ეშტონმა.

მისი თქმით, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი გამოიძიებს მიხეილ ხოდორკოვსკის საქმეს და რუსეთს საქმის გადახედვას აუცილებლად მოსთხოვს.

**მედიანიუსი**


**საჯარო შეტყობინება**
**სასამართლოს წარმოებაში სარჩელის არსებობის შესახებ**

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 2011 წლის 5 იანვრის №2/12982-2010 განჩინების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აცნობებს (ატყობინებს) მოპასუხე თამარ კახაძეს (დაბ. 23.02.1982წ. რეგისტრ. ქ. თბილისი, მუხიანის 4-ბ მ/რ. კორპ. 29-ა, ბინა №44; პ/ნ 01003016948), რომ მის წინააღმდეგ სასამართლოს წარმოებაში (მოსამართლე დავით ღიბრაძე) იმყოფება შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაოს“ სარჩელი 2009 წლის 28 აგვისტოს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზიანის 1 705 ლარის რეგრესის წესით ანაზღაურების და სახელმწიფო ბაჟის □ 51,15 ლარის დაკისრების თაობაზე. კერძოდ, სარჩელი შეეხება ნუგზარ წიკლაურის ა/მანქანაზე შეჯახებით დამდგარ ზიანს.

მოპასუხე თამარ კახაძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სარჩელისა და თანდართული საბუთების ჩაბარება ვერ ხერხდება.

სასამართლო განუმარტავს მოპასუხე თამარ კახაძეს რომ იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაოს“ სარჩელზე და წარმოადგინოს სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. შესაბამისად, მოპასუხე თამარ კახაძემ სარჩელზე წერილობითი შესაგებელი სასამართლოში უნდა წარმოადგინოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნების მეშვიდე დღიდან 5 დღის ვადაში.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამასთანავე, სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

მოპასუხე თამარ კახაძეს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

*მოსამართლე* *დავით ღიბრაძე*

# ნანუკა ხუსკივაძე სცენას უბრუნდება

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობი ნანუკა ხუსკივაძე სცენას უბრუნდება. გასული წლის მიწურულს მსახიობმა სპექტაკლის „ყოფილების სარეცელი“ თამაშის დროს ხელი მოიტეხა, რის გამოც თეატრს გარკვეული პერიოდით ჩამოშორდა. ამ არასასიამოვნო ფაქტის გამო, რუსთაველის თეატრში მთლიანად შეიცვალა რეპერტუარი და დანიშნული პრემიერაც მოიხსნა.

ამჯერად სპექტაკლის პრემიერა ნანუკა ხუსკივაძის მონაწილეობით რუსთაველის თეატრზე იანვრის ბოლოს 25, 26 და 30 იანვარს გაიმართება. „ქალი წარსულიდან“ — ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც როლანდ შიმელპფენინგის პიესის მიხედვით დაიდგა. როლანდ შიმელპფენინგი გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ თანამედროვე დრამატურგად ითვლება. მას სულ ცოტა ხნის წინ მიანიჭეს 2010 წლის საუკეთესო გერმანულენოვანი დრამატურგის წოდება.

ფრენკი ოჯახით საცხოვრებლად სხვაგან მიემგზავრება. მოულოდნელად მათთან ჩამოდის ფრენკის ძველი შეყვარებული — რომი ფიგტლენდერი. მათ ერთმანეთი 24 წელია არ უნახავთ. ამ ხნის მანძილზე ქალმა ფრენკი ვერ დაივიწყა და ახლა მოვიდა, რომ ძველი სიყვარული დაიბრუნოს, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია. იმედგაცრუებული და გაბოროტებული რომი შურს იძიებს ყოფილ სატრფოზე. რა ამოძრავებს რომის, სიყვარული? სპექტაკლის პრემიერა გათვალისწინებული იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მსახიობების ავადმყოფობის გამო კი პრემიერა გადატანილ იქნა 2011 წლის იანვარში.

პიესა „ქალი წარსულიდან“ როლანდ შიმელპფენინგს ვენის ბურგთეატრმა დაუკვეთა, სადაც 2004 წელს შედგა პრემიერა. მას შემდეგ ამ პიესას უკვე რამდენიმე წელია დიდი წარმატებით თამაშობენ გერმანიის და სხვა ევროპული ქვეყნების წამყვანი თეატრების სცენებზე.

პიესა ქართულად დაიდგა მაია ფალავანდიშვილის თარგმანის მიხედვით. დადგმის საავტორო უფლებები ფიშერის გამომცემლობას აქვს, ფრანკფურტი მაინზე. „ქალი წარსულიდან“ რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილია, მხატვარი — ნუცა ჭყონია. ერთმოქმედებიანი სპექტაკლის პრემიერა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გათამაშდება. სპექტაკლში ნანუკა ხუსკივაძე, ზურა ინგოროყვა, ნინო თარხან-მოურავი, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე და ნინო მაყაშვილი მონაწილეობენ.

# ონლაინ შოუ „აივანი“ დასრულდა

საქართველოში პირველი მუსიკალური ონლაინ შოუ „აივანი“ დასრულდა. პირველი სეზონის შემაჯამებელი კონცერტი კლუბ „33ა“-ში გაიმართა. მასში მონაწილეობა პროექტის ტოპ-ჩატებში გამარჯვებულმა შვიდმა ჯგუფმა და ერთმა „აივნის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა მიიღეს. კონცერტი სახელწოდებით „აივანი სეზონ ვან“ ქალაქის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

პროექტი „აივანი“ პირველი მუსიკალური ონლაინ შოუა საქართველოში, რომელსაც სარეკლამო სააგენტო „ემ ჯი აი“ ახორციელებს. პროექტი ჯერ კიდევ მარტიდან დაიწყო, რომლის მიზანსაც ფონოგრამასთან ბრძოლა, ცოცხალი მუსიკისა და ნაკლებად ცნობილი მუსიკალური ჯგუფების პოპულარიზაცია წარმოადგენს.

შოუში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი მსურველისთვისაა შესაძლებელი — ყველას, ვისაც უყვარს მუსიკა და უკრავს ცოცხლად. შეუზღუდავია ასაკი, გემოვნება და მუსიკალური მიმდინარეობა. ყველა შემსრულებელი ერთ დუბლად, აივანზე იწერება. ვიდეოები სპეციალურ საიტზე იდება, რომლის ნახვაც ყველას შეუძლია.

— ეს არის პროექტი, რომელიც ყველას აძლევს შანსს, საკუთარი მუსიკალური მონაცემები წარმოადგინოს. „გამოდი აივანზე“ — ასეთია ჩვენი პროექტის დევიზი, რაც ნებისმიერ ადამიანს მოუხსნის დაძაბულობას და გამოიყვანს საზოგადოების სამსჯავროზე, — აცხადებენ პროექტის ორგანიზატორები.

როგორც პროექტის ავტორებმა განაცხადეს, „აივნის“ არქივში ამ დროისთვის 50 ვიდეო ჩანაწერია. პროექტი მხოლოდ ახლა დაიწყო და მომავალში კიდევ არაერთი საინტერესო მუსიკოსის გამოვლენას აპირებს.

ეკა ირემაშვილი

# ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი პრესას საკუთარი ხარჯებით გაეცნობა

ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი პრესას საკუთარი ხარჯებით გაეცნობა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული მსჯავრდებულის უფლებები განისაზღვრა.

ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს ჟურნალ-გაზეთები საკუთარ ხარჯზე გამოიწეროს. ამას გარდა, მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრის უფლებით, აგრეთვე საკონსულოს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის) შეხვედრის უფლებით; შეუძლია ისარგებლოს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით; შეინახოს და კანონიერად გამოიყენოს განსაზღვრული პირველადი მოხმარების საგნები, ჰიგიენური საშუალებები და სხვა ნივთები და საგნები; იქონიოს მიმოწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით; ისარგებლოს დაწესებულების ბიბლიოთეკით; ადმინისტრაციას წარუდგინოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება უკვე ძალაშია.

ინტერპრესნიუსი

# საპატრიარქოში ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის შესახებ შეთანხმებას არ იცნობენ

საქართველოს საპატრიარქოში ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის შესახებ პროექტს და შეთანხმებას არ იცნობენ. შესაბამისად, ამ პროექტში საპატრიარქოს ჩართულობაზე ინფორმაციას არ ფლობენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თავმჯდომარემ, ამბა-ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა განუცხადა, პროექტთან დაკავშირებული შეთანხმების შესახებ დოკუმენტი შესაძლოა საპატრიარქოს კანცელარიაში იყოს შესული, რადგან ჯერ მათთან დოკუმენტი განსახილველად არ შესულა.

— რაც შეეხება საპატრიარქოს ჩართულობას ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის პროექტში, ყველგან საშობაო არდადეგები იყო და ბატონ ნიკა ვაჩეიშვილსა და ბატონ კულტურის მინისტრ ნიკა რურუას არ შეხვედრივარ. მათაც არ ჰქონიათ ჩვენთან კავშირი. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი, — დასძინა მეუფე დავითმა.

ცენტრში ასევე აცხადებენ, რომ პროექტში საპატრიარქოს, როგორც ერთ-ერთი მხარის ჩართვის შესახებ ინფორმაცია მათ ჟურნალისტებისგან შეიტყვეს. მათი თქმით, სასურველი იქნებოდა, თუ აღდგენის პროექტის განხილვაში მათი ცენტრიც მიიღებს მონაწილეობას.

„ინტერპრესნიუსი“ ასევე საპატრიარქოს კანცელარიის უფროს იოანე გაგუას დაუკავშირდა. გაგუასთვის უცნობი იყო, შევიდა თუ არა საპატრიარქოს კანცელარიაში ზემოთ აღნიშნული დოუმენტი. შესაბამისად, ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის პროექტს და მასში საპატრიარქოს ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იგი არ ფლობდა. ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის შესახებ თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებში საპატრიარქოს ჩართვის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განაცხადა. არსებული ინფორმაციით, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის სანაცვლოდ ბათუმში, ყოფილ ლენინის მოედანზე დამწვარი მეჩეთის აღდგენა იგეგმება.

ინტერპრესნიუსი

# ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია დასრულდა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სამწლიანი პროექტი, რომელიც ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა, დასრულდა. რეაბილიტაციის შედეგად, კახეთის ერთ - ერთ უდიდეს სამონასტრო კომპლექსს პირვანდელი სახე დაუბრუნდა.

ნეკრესის არქიტექტურულ ანსამბლში, რომელიც სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს აერთიანებს, გუმბათოვან ეკლესიასთან, ორ მცირე და სამეკლესიან ბაზილიკასთან ერთად, ნეკრესელის სასახლე, კოშკი-სამრეკლო. სატრაპეზო, საწნახელი საცხოვრებელი ოთახი და ორი მარანი სრულად აღდგენილია.

2008 წლიდან 2010 წლამდე ნეკრესის არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაცია მოიცავდა რამდენიმე ეტაპს დაწყებული ძეგლის კვლევითი დიაგნოსტიკური სამუშაობიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ნეკრესის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას და შედეგად მონასტრის სრულ ფიზიკურ გაჯანსაღებას.

ნეკრესის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევითი-არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოვლინდა XII საუკუნის ტერასები და ამავე პერიოდის ორრეზერვუარიანი წყარო, რომელიც დაკონსერვებულია და ნეკრესის ერთ-ერთ საინტერესო სანახაობას წარმოადგენს.ძეგლთა დაცვითი სამუშაოების პარალელურად ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში მოწყობილია ტურისტული ბილიკები და ინფრასტრუქტურა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კი ნეკრესის მონასტრამდე მისასვლელი გზა განახლდა.

პრაიმ-ნიუსი

# ადმინისტრაციული პატიმრობისას პირს ფერადი ფანქრების, ბანქოსა და ჩაქუჩის ქონა ეკრძალება

ადმინისტრაციული პატიმრობისას პირს ფერადი ფანქრების, ბანქოსა და ჩაქუჩის ქონა ეკრძალება.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება უკვე ძალაშია, რომლითაც განისაზღვრა იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელთა შენახვა და გამოყენება ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებულ მსჯავრდებულს ეკრძალება.

კერძოდ, მსჯავრდებულს ეკრძალება შეინახოს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები; ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა. სატრანსპორტო საშუალებები; ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები; ფული, ფასეული ნივთები, ფასიანი ქაღალდები; ოპტიკური ხელსაწყოები; საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ სითბურ დამუშავებას (ყავა-ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი; ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, მათ შორის ლუდი; სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები; გადასამრავლებელი აპარატები; დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, სანთებლები; ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები; ბანქო; ფოტოაპარატები, ფოტომასალები, ქიმიკატები, ვიდეოკამერები; მობილური ტელეფონები; ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა); ტოპოგრაფიული რუკები და კომპასები; დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი, ქუდები და ფეხსაცმელი; ფერადი ფანქრები, საღებავები, კოპირების ქაღალდები.

ინტერპრესნიუსი

# ეკონომიკის სამინისტროში მორიგი აუქციონი გაიმართა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით მორიგი აუქციონი გაიმართა.

სამინისტროს ინფორმაციით, აუქციონზე 33 ობიექტი იყო გატანილი, რომლებიც გარდაბნის, ამბროლაურის, მცხეთის, თეთრიწყაროს, ხარაგაულის, თერჯოლის, ყვარლის, ჩხოროწყუს, მესტიის, თელავის, დმანისის, წყალტუბოს, ტყიბულის, გორის, დუშეთის, ოზურგეთის, ბორჯომის, საგარეჯოს, ზესტაფონის, ხონის, ხობის, ახალქალაქის რაიონებისა და თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარეობს.

ყველაზე ძვირად გაიყიდა ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში მანგანუმის (ტექნოგენური დანაგროვის) მოპოვების ლიცენზია. ის 69 000 ლარად შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ შეიძინა. ამ ობიექტის შეძენის სურვილს შპს „ა.დ.ვ.“ და შპს „რუსმეტალიც“ გამოთქვამდნენ.

მედიანიუსი

# ახალგორში შესვლაზე ოსებმა შეზღუდვები დააწესეს

„სამხრეთ ოსეთის“ მარიონეტული რეჟიმის უშიშროების სამსახური ახალგორის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვარზე, ოსურ საგუშაგოზე იმ ადამიანებს, ვინც ახალგორში რეგისტრაცია არ გაიარა, კვლავ არ უშვებს.

როგორც „მედიანიუსს“ ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა განუცხადა, უშიშროებამ საზღვრის კონტროლი 25 დეკემბრიდან დაიწყო და დღემდე აგრძელებს. ოსური უშიშროება ამოწმებს მოსახლეობის დოკუმენტაციას და ვინც ახალგორში რეგისტრირებული არ არის, მას საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ აძლევს„, — განაცხადა ფიცხელაურმა.

შეგახსენებთ, რომ ახალგორის რაიონის საზღვრის გადასაკვეთად ოსურმა ორგანოებმა მოსახლეობის რეგისტრაცია 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყეს.

მედიანიუსი

# რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა გაძვირდა

რუსთავსა და თბილისს შორის მოძრავი ყველა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა 50 თეთრით გაძვირდა. ორშაბათიდან მგზავრებს ერთი ლარის ნაცვლად, 1.5 ლარის გადახდა უწევთ.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს სატრანსპორტო კომპანიაში განუცხადეს, ჯერ დაზუსტებული არაფერია, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასური მძღოლებმა თვითნებურად გააძვირეს და ამ საკითხზე კომპანიაში ახლაც მსჯელობენ. რუსთავის მერიაში კი აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსების მფლობელი კომპანიები შ.პ.ს-ებს წარმოადგენენ და ფასების რეგულირიბაზე მერიას ზემოქმედების ბერკეტი არ აქვს, რადგან ისინი მერიას არ ექვემდებარებიან.

როგორც „მედიანიუსს“ რუსთავის ყოფილმა მერმა, დეპუტატმა დავით ნადაშვილმა განუცხადა, მსგავსი შემთხვევა ადრეც მოხდა, მაგრამ რუსთავის მერიამ კომპანიებთან მოლაპარაკებებით სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის ფასის შენარჩუნება შეძლო. ნადაშვილის თქმით, მგზავრობის ფასის გაზრდა მძღოლების ინიციატივაა და ამის მიზეზად საწვავზე ფასის მატებას ასახელებენ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს საცალო ქსელში საწვავი გასული წლის ნოემბრის შემდეგ არ გაძვირებულა.

მედიანიუსი

# აჭარა ველო-ტურიზმის განვითარებას იწყებს

აჭარა ველო-ტურიზმის განვითარებას იწყებს. „თამარის“ დასახლებიდან ბულვარის ბოლომდე საზოგადოებრივი ველო სისტემა მოეწყობა, სადაც ნებისმიერ მსურველს ველოსიპედით გასეირნება და მისი დაქირავება 24 საათის განმავლობაში შეეძლება.

ტრანსპორტის დაქირავება შესაძლებელი იქნება, როგორც სპეციალური ტერმინალებისა და სპეციალური ბარათების საშუალებით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით. პროექტის ღირებულება დაახლოებით 200 ათას ევროს შეადგენს. ველო ტრასის მშენებლობა უკვე დაწყებულია და 2011 წლის ტურისტული სეზონიდან სრული დატვირთვით ამუშავდება.ტრასას პირველი ეტაპისათვის 300-მდე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ველოსიპედი მოემსახურება, ბათუმისთვის ველოსიპედები ინდივიდუალური დიზაინით დამზადდება.

საზოგადოებრივი ველო სისტემა სამომავლოდ ქობულეთის ბოლომდეც დაგრძელდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ სისტემა პირველია საქართველოში და მთელს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

პრაიმ-ნიუსი

# გურიასა და სამეგრელოში პოლიციის ახალი შენობები გაიხსნა

2010 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პოლიციის 60 ახალი შენობა გახსნა და აამოქმედა. გუშინ გურიის რეგიონში გაიხსნა ახლად აშენებული ურეკის პოლიციის განყოფილება. განყოფილებაში ასევე განთავსებულია ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი, აჭარისა და გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს გურიისა და ქობულეთის განყოფილება. შენობაში იმუშავებს ორმოცდაათი პატრულ ინსპექტორი, თვრამეტი დეტექტივ გამომძიებელი და უბნის ისპექტორი, — აცნობეს „მედიანიუსს“ სს სამინისტროდან.

გუშინვე ფუნქციონირება დაიწყო სამეგრელოს რეგიონში მარტვილის პოლიციის სამმართველოს ახლად აშენებულმა სრულიად გამჭირვალე შენობამ, რომელიც მოემსხურება მარტვილის რაიონის ოცდარვა სოფელს. აღნიშნულ შენობაში იმუშავებს ორმოცდახუთი პოლიციელი. შენობის გახსნას ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი ივანე მერაბიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზაზა გოროზია.

მედიანიუსი

# სერგო ფარაჯანოვზე ფილმს გადაიღებენ

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღის აღსანიშნავად ბამბის რიგში აქცია გაიმართა. მას 9 იანვარს 87 წელი შეუსრულდებოდა. აქცია სიმბოლურად ჩატარდა ბამბის რიგში, სერგო ფარაჯანოვის ძეგლთან. დასწრება თავისუფალი იყო.**

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი დაიბადა და გაიზარდა თბილისში სომხურ ოჯახში. ფენომენალური ბავშვი სომეხი ვაჭრის იოსებ ფარაჯანიანისა და სირანუშ ბეჟანოვის (ბეჟანიანის) არტისტულ ოჯახში გაჩნდა. ბავშვობის პერიოდი აღსავსე იყო ლაღი, ხალისიანი ფერებით. ის მოსკოვის საკავშირო კინოს ინსტიტუტში ჩაირიცხა. მისი პროფესორები იყვნენ ცნობილი საბჭოთა რეჟისორები იგორ სავჩენკო და მოგვიანებით ალექსანდრე დოვჟენკო.

ფარაჯანოვმა როდესაც თათარ გოგონაზე იქორწინა, მალე გოგონა ნათესავებმა უცხოელზე ქორწინებაში დაადანაშაულეს. პირადი ცხოვრების სირთულეების პარალელურად, სერგო ფარაჯანოვი ორ ფილმზე მუშაობდა: იგორ სავჩენკოს „მესამე გაელვება“ და „ტარას შევჩენკო“, შემდეგ ვლადიმერ ბრაუნის „მაქსიმკა“ გადაიღო. სერგო ფარაჯანოვმა თავისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოლდაური ამბავი“ გადაიღო, შემდეგ კი იგი იაკოფ ბაზელიანთან ერთად სრულმეტრაჟიან ფილმად „ანდრიეშა“ გადააკეთა. თათარ გოგონასთან წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, მან მეორედ იქორწინა უკრაინელ გოგონასთან სვეტლანა შერბატიუკთან და შეეძინათ ერთადერთი შვილი სურენი. მისი მეორე ქორწინებაც გაყრით დასრულდა, თუმცა ყოფილ მეუღლესთან ახლო ურთიერთობა შეინარჩუნა.

ფარაჯანოვის ნამუშევრები ძირითადად კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავდა. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით. შესაძლოა მისი უდიდესი ნამუშევარი „ბროწეულის ფერი“, თბილისელ პოეტ საიათნოვას ცხოვრებას ასახავს. ფილმმა საბჭოთა მთავრობა განარისხა, რომლის აზრით იგი დელიკატურ ნაციონალურ საკითხებს ეხებოდა. ჰომოსექსუალობის ბრალდებით საბჭოთა მთავრობამ ფარაჯანოვი 1973 წელს დააპატიმრა და შრომით გამოსასწორებელ ბანაკში ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სერგო ფარაჯანოვის დაპატიმრება მრავალმა ცნობილმა ადამიანმა, ხელოვანმა, მწერალმა თუ რეჟისორმა გააპროტესტა, თუმცა იგი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლეს, ფრანგი სიურრეალისტი ლუი არაგონის მეოხებით. ფილმების გადაღება მას აკრძალული ჰქონდა მრავალი



წლის განმავლობაში, სანამ თბილისში ცხოვრობდა. თუმცა, გასული საუკუნის 80-იან წლებში მას ნება დართეს გადაეღო „ამბავი სურამის ციხისა“, რომელიც მისი ადრეული ნამუშევრების ფერადოვნების გამოძახილია, ასევე „აშიკი ქერიბი“ და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული სერია „აღიარებისა“, რომელიც შემდგომში მიხეილ ვართანოვის ფილმის „ფარაჯანოვი: ბოლო გაზაფხული“ ნაწილი გახდა.

სერგო ფარაჯანოვი 1990 წლის ივლისში ერევანში კიბოს დაავადებით გარდაიცვალა.

აქციის ორგანიზატორებმა მასზე დასწრების მსურველებს თხოვნით მიმართეს — ფარაჯანოვის ძეგლთან მიეტანათ ერთი ცალი წითელი ბროწეული, რომლითაც ისინი პატივს მიაგებდნენ დიდი შემოქმედის ხსოვნას.

ღონისძიება ორგანიზებული იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ და მიზნად ისახავდა დიდი თბილისელი კინორეჟისორისა და მხატვრის შემოქმედების მიმართ საზოგადოების დაინტერესების გაზრდას. აქციის პროგრამა მოიცავდა მისი შემოქმედების ამსახველი კადრების ჩვენებას, ფოტოებისა და მის მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენას.

სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღისადმი მიძღვნილი აქცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ორგანიზატორებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს იური მეჩითოვს, არჩილ მენაღარიშვილს, მაია ბარათაშვილს, გუგა კოტეტიშვილს, ქეთი დოლიძეს გაწეული დახმარებისათვის. ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი ფარაჯანოვის შემოქმედების დიდი ტრფიალია. იგი მაქსიმალურად ცდილობს მისი შემოქმედება საზღვარგარეთ კიდევ უფრო პოპულარული გახადოს, სწორედ ამიტომ, გასულ წელს იური მეჩითოვმა ფარაჯანოვის შემოქმედება ლონდონშიც კი გამოფინა.

თბილისში ჩატარებული დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების პარალელურად, ხელოვანის უკვდავსაყოფად მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მხატვრულ ფილმს უკრაინაში გადაიღებენ. ფილმის შექმნა სერგო ფარაჯანოვის 90 წლისთავთან დაკავშირებით არის დაგეგმილი. უკრაინაში ახალი მხატვრული ფილმის „ფარაჯანოვის“ პროექტის პრეზენტაცია უკვე შედგა. როგორც ფილმის პროდიუსერმა, სცენარის ავტორმა და რეჟისორმა ლენა ფიტისოვამ განაცხადა, ფილმს კინოსტუდია „ინტერფილმში“ გადაიღებენ და მასში ჩართული იქნება სომხეთის, საქართველოს, საფრანგეთის და ნიდერლანდების მხარეებიც.

— ეს იქნება ფილმი საკულტო რეჟისორის ცხოვრების შესახებ. ფილმის გადაღებები საქართველოში, სომხეთში, უკრაინაში გაიმართება, ხოლო ფილმის ფინალს ნიდერლანდებში გადავიღებთ, — განაცხადა ფილმის ავტორმა.

ახალ მხატვრულ ფილმში „ფარაჯანოვი“ მთავარ როლს ფრანგი მსახიობი და კინორეჟისორი, 2010 წლის კანის ფესტივალის ოქროს პალმის რტოს მფლობელი სერჟ ავედიკიანი შეასრულებს. იგი ამაყობს, რომ ფარაჯანოვს ახლოს იცნობდა. მსახიობი არც იმას მალავს, რომ ხელოვანი მასთან სულიერად საკმაოდ ახლოს არის და მისი სამყარო მსახიობისთვის საოცრად ახლობელია. ავედიკიანის მთავარ როლზე მოწვევის იდეა უკრაინელ რეჟისორს რომან ბალაიანს ეკუთვნის, რომელიც აღნიშნულ პროექტში წარმოდგენილი იქნება როგორც მხატვრული ხელმძღვანელი და პროექტის კრეატიული პროდიუსერი. რომან ბალაიანმა უარი განაცხადა ყოფილიყო აღნიშნული ფილმის რეჟიროსი, რადგან ის ახლოს იცნობდა ფარაჯანოვს, რასაც შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა. „ფარაჯანოვის პიროვნება მის ფილმებზე უფრო საინტერესოა“, — ასეთი შეფასება გააკეთა ბალაიანმა ფარაჯანოვთან დაკავშირებით.

ახალი მხატვრული ფილმის „ფარაჯანოვი“ გადაღებები სექტემბერში საქართველოში დაიწყება, შემდეგ უკრაინაში გაგრძელდება და 2012 წლის გაზაფხულზე როტერდამში დასრულდება. დასრულებული ფილმი კი ეკრანებზე სავარაუდოდ 2012 წლის შემოდგომაზე გამოვა.

# პატრიარქს პოეტებმა საღამო მიუძღვნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამ საღამოს ჩატარების იდეა ქართველ პოეტებს ეკუთვნოდათ.

— ბედნიერია აქ მოსული თითოეული ქართველი პოეტი, რადგან მათ შეძლეს საკუთარი ლექსები მისი უწმინდესობისთვის პირადად წაეკითხათ. საბედნიეროდ, ბევრმა პოეტმა უძღვნა ილია მეორეს ლექსი. უკვე გადაწყდა, რომ პატრიარქზე დაწერილი ლექსები შეიკრიბება და კრებულის სახით გამოიცემა. შობის შემდგომი კვირა კი იქნება პოეზიის დღე და ამ სულიერების ახალგაზრდულ ცენტრში პოეზიის საღამო გაიმართება, — განაცხადა პოეტმა ერეკლე საღლიანმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა ის კინოდოკუმენტალისტები, რომლებიც ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღებას აპირებენ. ილია მეორემ მათ მიზნის მიღწევა უსურვა.

— საქართველოს ეკლესიისა და ქვეყანაში არსებული ტაძრების შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებენ. მინდა დავლოცო ისინი და ჩანაფიქრის განხორციელება ვუსურვო, — ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქის ინფორმაციით, საქართველოში ჩამოსულია კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს ეკლესიისა და ქვეყანაში არსებული ტაძრების შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. გარდა ამისა, პატრიარქმა მრევლს დავით წინასწარმეტყველისა და იოსებ მართლის ხსენების დღე მიულოცა. ილია მეორემ ისაუბრა ასევე სხვა ეკლესიებთან ქართული ეკლესიის კავშირებზე. ამ კონტექსტში პატრიარქი შეეხო ასურელ ერთან ურთიერთობას. მისი განცხადებით, ასურელი მამების ცხოვრებიდან ჩანს, რომ ისინი ადრე ქართულ ენაზე საუბრობდნენ.

როგორც გაირკვა, ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენაზე თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებში საპატრიარქოც ჩაერთვება. თურქეთიდან არ დაბრუნებულა ხელმოსაწერი დოკუმენტის საბოლოო ვერსია, ძირითადი შეთანხმების ტექსტის თანახმად კი, ისტორიული შეთანხმების პროექტი უკვე რესტავრირებულ მონასტრებსა და მეჩეთებში რელიგიური რიტუალების ჩატარების საკითხს ღიად ტოვებს.

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე მეათე საუკუნეში აგებული ოშკის ტაძარი დანგრევის პირასაა. ოშკი ინგრევა, შემორჩენილ შენობაზე გაჩენილია ბზარები, ჩამოშლილია ფრესკები და გამოსახულებები. უკვე სამი წელია ქართული მხარე თურქეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებს იმის თაობაზე, რომ ქართული ძეგლის აღდგენა-რესტავრაცია დაიწყოს.

— საპატრიარქო საქმის კურსში იქნება მას შემდეგ, რაც გაირკვევა ძირითადი შეთანხმების პუნქტები. თუმცა, ამ ეტაპზეც საქმის კურსშია, რადგან შეთანხმების ადრინდელი ვარიანტი გადავუგზავნეთ. ამ საკითხის გადაწყვეტა საზოგადოებრივ აქტიურობასაც მოითხოვს. ისტორიული შანსი გვაქვს, გადავარჩინოთ უნიკალური ძეგლები, აღვადგინოთ და ფუნქცია მივანიჭოთ. ამიტომაც არ მესმის იმ წინააღმდეგობის, რომელსაც დროდადრო გამოხატავს საზოგადოება, — აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენას 15 მილიონი დოლარი სჭირდება, აღდგენითი სამუშაოები კი 5 წელიწადს გაგრძელდება. იმისთვის, რომ აღნიშნული ტაძრები იუნესკოს მფარველობის ქვეშ შევიდეს, ძეგლები თურქეთმა უნდა წარადგინოს. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ოშკისა და ოთხთა ეკლესიის აღდგენის სანაცვლოდ კი ბათუმში, ყოფილ ლენინის მოედანზე დამწვარი მეჩეთის აღდგენაა დაგეგმილი. ბათუმის მოსახლეობის ნაწილი ამ ინიციატივას ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ ბათუმში მეჩეთის აღდგენისა და ფუნქციონირების შემთხვევაში თურქეთში აღდგენილ ქართულ ტაძრებში ღვთისმსახურებაც უნდა აღდგეს.

პატრიარქის ალსაყდრებისადმი მიძღვნილი ღონისძიების პარალელურად, გელათის სამონასტრო კომპლექსში „საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა“ ქართველ არქიტექტორებს საერთაშორისო სერტიფიკატები გადასცა. 80-მდე არქიტექტორმა გასულ წელს პროფესიული გადამზადების ლექცია-სემინარები გაიარეს, რის შემდეგადაც, მათ საერთაშორისო სტატუსი და რეგისტრირებული ბეჭედი მიენიჭათ. სერტიფიცირებული არქიტექტორები უკვე შეძლებენ, ევროპაში ნებისმიერ ტენდერში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა. დაჯილდოების ცერემონიალი სიმბოლურად გელათის მეცნიერებათა აკადემიის ახლად რეაბილიტირებულ ისტორიულ შენობაში შედგა. სერტიფიკატები კოლეგებს უხუცესმა არქიტექტორებმა გადასცეს.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# განათლების სამინისტროს ვებგვერდზე საატესტატო გამოცდების ნიმუშები განთავსდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე საატესტატო გამოცდების ნიმუშები განთავსდა.

კომპიუტერული პროგრამით უზრუნველყოფილი საატესტატო გამოცდები წელს პირველად მაისის ბოლოს ჩატარდება.

— ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს ჩვენს ვებ-გვერდზე შეუძლია ნახოს რამდენად მარტივია საატესტატო გამოცდები. ყველა ბავშვი გამოცდას თავის სკოლაში კომპიუტერის მეშვეობით ჩააბარებს, — განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

საჯარო სკოლებში გამოცდებისთვის მზადებას სპეციალური აბიტურის საათებიც ეთმობათ.

მედიანიუსი


# განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება 2500 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სასმელი და სარწყავი წყლით, ფასი 1 კვ.მ. 3 დოლარი, და 7000 კვ.მ. ვენახი ჩინური და თავკვერის ჯიშებით გამართული, ფასი 1 კვ.მ. 5 დოლარი. თბილისიდან 30 კმ-ში, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში. ტელ:. 890 53-02-41; 53-15-87.

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი, 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ვყიდი 37,5 კვ-იან დიზელის გენერატორს და ვიყიდი 15 ან 20 კვ-იან დიზელის გენერატორს. შესაძლებელია გაცვლაც. ტელ.: 890-388-142. 899-388-141.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ვანა-ტუალეტით. საერთო ფართი 54 კვ.მ. იტალიური ეზოს მე-2 სართულზე (ხარფუხში, დემირელის სკოლასთან). ტელ.: 857 99 05 40.

● იყიდება ავტომობილი „ნივა“ კარგ მდგომარეობაში, ფასი 2000. ტელ:. 899 932 732.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# „დინამო“ ახალი უცხოელებით ივსება

ზამთრის პაუზის დროს ქართულ კლუბებში ხმაურიან ტრანსფერებს რომ ველოდით, უნდა ითქვას, რომ შედგა. რა თქმა უნდა, ეს „ხმაური“ ქართული საზომებით არის ნათქვამი და იქნებ ისეც მოხდეს, რომ ამ სიტყვას დროთა განმავლობაში ბრჭყალები მოვაშოროთ.

დანიელ ოდონელი, კრის ბრაიტი და ანდრეა ტოდოროვი — ეს სამი ფეხბურთელი თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს და თუ გუნდის მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას თავი მოაწონეს, კარიერას საქართველოში გააგრძელებენ.

არც თავი მოაწონეს გვითქვამს უმიზნოდ. პირველი შემთხვევა არ იქნება, რომ საქართველოში ჩამოსული ფეხბურთელები დაიწუნონ და ისევ უკან გააბრუნონ. მით უფრო, „დინამოსთვის“ და კაჭარავასთავის ასეთი რამ უცხო არ იქნება.

სანამ „დინამო“ ფეხბურთელების ვარგისიანობაში გაერკვევა, მანამდე ორიოდე სიტყვა მათი კარიერის შესახებ.

დანიელ ოდონელი: ინგლისელი, 26 წლის, მცველი, 189 სანტიმეტრი. უთამაშია „ლივერპულში“ (2005-07), „ქრიუში“ (2007-10), „შრიუსბერში“ (2010).

16 წლის იყო, როდესაც ინგლისური გრანდის, „ლივერპულის“ სკაუტებმა შეამჩნიეს და კონტრაქტი გაუფორმეს. უკვე 18 წლის ასაკში ამავე ასაკის გუნდს კაპიტნობდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მთავარ გუნდში დააწინაურეს და 5-ნომრიანი მაისური უბოძეს. მთავარ გუნდში 7 მატჩის ჩატარება მოასწრო და შემდეგ დაბალდივიზიონის გუნდ „ქრიუში“ გაანათხოვრეს. არადა, თუ მაშინდელ პერიოდს გადავხედავთ, ოდონელი გუნდის იმედად ითვლებოდა. „ქრიუსთან“ 3 სეზონის განმავლობაში ითანამშრომლა, შემდეგ კი „შრიუსბერში“ წავიდა, სადაც მცირე დრო დაჰყო, კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა საქართველოშია.

რამ მოხიბლა ჩვენს ქვეყანაში და რა იცის ქართული ფეხბურთის შესახებ, ამაზე თავად ფეხბურთელის სიტყვებს მოვიშველიებთ.

— საქართველოში წამოსვლამდე ინტერნეტში ბევრი რამ მოვიძიე. „დინამო“ დიდი ტრადიციების გუნდის და ისეთი სახელი აქვს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ბევრი კლუბი ვერ დაიკვეხნის. საქართველოში თამაში ჩემთვის ახალი შესაძლებლობები და ახალი არეალია. აქედან, ევროპაში თამაშის და დაწინაურების პერსპექტივა ჩანს. ამას „დინამოს“ ისტორიაც ადასტურებს. ამასთან, მითხრეს, რომ გუნდი სერიოზულად აპირებს გაძლიერებას და ევროპაში ღირსეულად წარმოჩენაზე ფიქრობენ. ინგლისში კი ეს პერსპექტივა ვერ დავინახე. ინტერნეტში საქართველოს ისტორიასაც გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ საინტერესო ქვეყანაში მოვდიოდი. თქვენი ქვეყანა ადრე რუსეთი მეგონა და აქ სხვაგვარი ხალხი ყოფილა, რომელთაც უჩვეულო სითბო ახასიათებთ. მეგობრებს ამის შესახებ აუცილებლად ვეტყვი. ჩვენი ჩამოსვლა თქვენებურ შობას დაემთხვა. მე და კრის ბრაიტი ქალაქშიც ვიყავით გასული და გაოცებული დავრჩი — ლამაზ ქალაქში მოვხვედრილვართ, — ამბობს ოდონელი.



კრის ბრაიტი: ახალზელანდიელი, 24 წლის, თავდამსხმელი, თავისი ქვეყნის გუნდების გარდა ნათამაშევი აქვს ჰოლანდიურ „ფორტუნაში“, ნორვეგიულ „კრისტიანსუნდში“, ბერძნულ „პანსერაიკოსში“ და ინგლისურ „შრიუსბერში“. აგრეთვე ნათამაშები აქვს ახალი ზელაბდიის 17, 20-წლამდე და ეროვნულ ნაკრებებში. ქვეყნის უმთავრესი გუნდის მაისური 4-ჯერ მოურგია.

კრის ბრაიტი, 2010 წელს გამართული მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა. ერთი წლით ადრე, სამხრეთ აფრიკაში გამართულ კონფედერაციის თასზე ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა.

საერთოდ, ესპანეთთან ბრაიტების ოჯახს დიდი მოგონებები აქვთ. კრისის მამა, დეივ ბრაიტი ფეხბურთელი იყო და 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 3 მატჩი ითამაშა. აღსანიშნავია, რომ მაშინ ახალი ზელანდიის ნაკრები ჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მოხვდა და უფროს ბრაიტს ქართველების, ალექსანდრე ჩივაძის, რამაზ შენგელიას, ვიტალი დარასელიასა და თენგიზ სულაქველიძის წინააღმდეგ აქვს ნათამაშევი. ის მატჩი 3:0 საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო.

უმცროს ბრაიტს კი ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა აქვს.

— ვიცი, რომ „დინამო“ ევროპაში ცნობილი კლუბია. საქართველოს ნაკრებს კი 2 წლის წინ ჩვენმა ნაკრებმა მოუგო. სხვათა შორის, საქართველოში ჩამოსვლაზე თავს ვიკავებდი, მაგრამ შემდეგ ნედ ზელიჩს დავუკავშირდი, რომელთან ერთად ავსტრალიურ „ნიუკასლში“ ვთამაშობდი. ზელიჩი „დინამოში“ თამაშობდა და რჩევა ვკითხე, მითხრა, რომ საქართველოში მაგარი ხალხი ცხოვრობს და იქ ჩასვლას არ ინანებო. უცებ ძალიან ბევრი რამ გავიგე ხალხზე, რომელზეც მანამდე არაფერი ვიცოდი, — გვაქებს ბრაიტი.

ანდრეა ტოდოროვი: იტალიელი, 18 წლის, თავდამსხმელი, „ლაციოს“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი, უთამაშია, იტალიის 17-წლამდე ნაკრებში.

ბულგარული ფესვების მქონე ტოდოროვი იტალიელია. 5 წლის განმავლობაში ვარჯიშობდა რომის „ლაციოს“ აკადემიაში. 16 წლიდან „პეტრიანას“ შემადგენლობაში გამოდიოდა რეზერვისტთა პირველობაზე. თავდამსხმელის გარდა, შეუძლია შემტევ ნახევარმცველადაც ითამაშოს.

ტოდოროვი „დინამოს“ ოდონელისა და ბრაიტზე გვიან შეურთდა, ამიტომ პირველი შთაბეჭდილებებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

მოკლედ, ეს სამეული პირველი მერცხლები არიან, რომელიც ამ სატრანსფერო ფანჯრის დროს საქართველოში მოფრინდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკმაოდ მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები იქნებიან და საქართველოს ჩემპიონატს თავიანთ ხიბლს შესძენენ. ერთია, სანამ ჩვენ თავს მოგვაწონებენ, მანამდე თავი კახა კაჭარავას უნდა მოაწონონ.

ჰო, ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ერთი უცხოელი ფეხბურთელის ჩამოყვანა 15.000 ლარი ღირს. თუმცა, „დინამოს“ ახალ მეპატრონე რომან ფიფიას, თუ იმ გუნდის გაკეთება უნდა, რასაც მოსვლამდე ამბობდა, ამის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს.

შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ ზამთრის პაუზისას უკვე დაიმატა 5 ფეხბურთელი. დანიიდან დაბრუნდა გიორგი ფოფხაძე. 24 წლის მარცხენა მცველი იქაურ „ვიბორგში“ 4 სეზონის მანძილზე თამაშობდა და იყო საქართველოს ნაკრების წევრიც.

26 წლის გიორგი ციმაკურიძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც ყოფილა, ხოლო კარიერა უკრაინა-სლოვაკეთში აქვს გატარებული.

3 შენაძენი კი ადგილობრივი ბაზრიდან არის. დინამოელები გახდებიან ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელები — თორნიკე ზარქუა და ნიკა კვესკვესკირი. ორივე მათგანი პირველ ეტაპზე ზუგდიდის „ბაიაში“ თამაშობდა. „დინამოშივე“ დაბრუნდა მისი ყოფილი წევრი შოთა კაშია, რომელმაც პირველი ეტაპი ცხინვალის „სპარტაკში“ ჩაამთავრა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ტერის სტიუარდი უჩივის

ლონდონის „ჩელსის“ ინგლისის პრემიერლიგაში საქმეები კარგად რომ არ მისდის, ახალი ამბავი არ არის — გუნდს უკვე 7 ტურია არ მოუგია. თუმცა, სადღეისოდ, განსჯის საგნად გუნდის „საგმირო“ საქმეები კი არა, მისი კაპიტანი ჯონ ტერი გვეყოლება, რომელმაც შარში ამოჰყო თავი. თუმცა, როგორც მოკვლეული მასალებით ირკვევა, ტერი ამ საქმიდან სუფთად გამოვა.

საქმე ის არის, რომ „ვულვზი“-„ჩელსის“ (1:0) მატჩის დროს, როდესაც „არისტოკრატები“ ჟოზე ბოსინგვას „ავტოგოლით“ აგებდნენ, ტერის ისე ეჩქარებოდა ანგარიშის გათანაბრება, რომ მოედნის გარეთ ბურთის ხელში ამღებ სტიუარდს მივარდა და მკერდში ხელი ჰკრა.

სტიუარდი 39 წლის ადგილობრივი მაცხოვრებელი — პატრიკ სტიდმენი, რომელმაც მეორე დღესვე პოლიციას მიმართა.

— ბურთი ჩემ გვერდით მოხვდა ბარიერს და მის ასაღებად დავიხარე. თამაშს არანაირად არ ვაბრკოლებდი, მაგრამ როგორც კი გადავიხარე, ტერიმ ხელი მკრა, ბურთი აიღო და მეკარეს თავად გადაუგდო, თან რაღაც ცუდი სიტყვა ჩაიბურტყუნა. მეორე დღეს, გაღვიძებისთანავე, კისერთან მძაფრი ტკივილი ვიგრძენი, ექიმთან მივედი, რომელმაც მითხრა, რომ ნაკვალევი მაქვს. ისეთი ულონოც არ ვარ, რომ ასეთი კვალი ოდნავი ხელის კვრით დამაჩნდეს, — განაცხადა სტიდმენმა.

ადგილობრივმა პოლიციამ მაშინვე მოკიდა ხელი საქმეს, მაგრამ როგორც კი მომხდარი ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი ნახა, გამოძიება მაშინვე დაასრულა. ამან კი სტედმენი აღაშფოთა.

— ტერის ხელს იმიტომ აფარებენ, რომ დიდი ფეხბურთელია. მთელმა სტადიონმა დაინახა, რაც მოხდა სინამდვილეში. რადგან პოლიცია უგულისყუროდ ეკიდება საქმეს, სარჩელს სასამართლოში შევიტან, — იმუქრება სტიდმენი.

„ჩელსის“ პრესსამსახურის განცხადებით, სტიდმენის პრეტენზია სასაცილოდ მოჩანს.

— ვიდეოჩანაწერზე ყველაფერი ნათლად ჩანს. მიგვაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში სასამართლოში ჩივილი აბსურდულია, — წერია კლუბის ვებგვერდზე.

გეტყვით იმასაც, რომ ტერი სტიუარდს გასულ სეზონშიც, საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზეც“ დაეტაკა. მაშინდელი შემთხვევა სტიუარდისთვის უფრო სავალალოდ დასრულდა — ტერიმ მას ფეხი მოტეხა.

# ესპანეთში მხოლოდ ორი გუნდია

ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალისთვის“ სხვა გუნდები არ არსებობენ და უკვე საბოლოოდ ჩამოიშორეს მდევრები. ლა ლიგის დანარჩენი გუნდებისთვის ჩემპიონობა მე-3 ადგილზე გასვლას ნიშნავს.

მათი დაცალკევება კვირას „ვილიარეალს“ შეეძლო, რომელიც 2-ჯერ უგებდა „რეალს“ მაგრამ ამით მხოლოდ გაალიაზიანა და საბოლოოდ, მადრიდელებმა 4:2 იმარჯვეს.

ანგარიში მე-7 წუთზე რუბენ კანიმ გახსნა, რომელიც 3 წუთში გაათანაბრა კრიშტიანუ რონალდუმ. მალევე იკერ კასილიასთან პირისპირ გასულმა რუბენმა ოსტატურად ითამაშა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, რომელიც მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე გაქვითა რონალდუმ. მეორე ტაიმში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — რონალდუმ და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა კაკამ თავისი გოლები მიითვალეს და მადრიდელებს მოაგებინეს.

ამ მატჩში რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოხდა: კაკამ „რეალის“ მაისურით გოლი 9-თვიანი პაუზის შემდეგ გაიტანა.

ჟოზე მოურინიოს საქციელი არ მოეწონა სათადარიგოთა სკამზე მჯდომ პირველი გოლის ავტორ კანის და მადრიდელთა მწვრთნელს ბოთლი ესროლა, რის შედეგად გაძევებულ იქნა.

რა მოხდა კონკრეტულად? კაკას მე-4 გოლის შემდეგ მოურინიომ მეტოქე გუნდის სათადარიგოთა სკამის წინ ჩაიარა, რაც კანიმ პროვოკაციად მიიჩნია და სამაგიეროს გადახდა ბოთლის სროლით გადაწყვიტა.

— გოლის აღსანიშნავად, ჩემს ვაჟიშვილთან მივდიოდი, რომელიც მათი სათადარიგოთა სკამის უკან იჯდა. რატომ იფიქრეს, რომ მათი პროვოკაციაზე წამოგება მინდოდა, ვერაფერს გეტყვით, — განაცხადა მომხდარის შემდეგ მოურინიომ, რომელიც პროვოკაციულ გამოხდომებში რამდენჯერ არის შემჩნეული.

და კრიშტიანუ რონალდუ: ეს ფეხბურთელი „რეალში“ გადასვლის შემდეგ უნიკა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| იაპონია-იორდანია | 1:1 |
| ს.არაბეთი-სირია | 1:2 |

**ინგლისი. თასი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი-ლივერპული | 1:0 |
| ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3:0 |
| ჩელსი-იფსვიჩი | 7:0 |
| ლესტერი-სიტი | 2:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სამპდორია-რომა | 2:1 |
| ბარი-ბოლონია | 0:2 |
| კატანია-ინტერი | 1:2 |
| კიევო-პალერმო | 0:0 |
| ლაციო-ლეჩე | 1:2 |
| მილანი-უდინეზე | 4:4 |
| პარმა-კალიარი | 1:2 |
| ფიორენტინა-ბრეშა | 3:2 |
| ჩეზენა-ჯენოა | 0:0 |
| ნაპოლი-იუვენტუსი | 3:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:17 | 40 |
| 2.ნაპოლი | 19 | 11 | 3 | 5 | 30:20 | 36 |
| 3.ლაციო | 19 | 10 | 4 | 5 | 25:18 | 34 |
| 4.რომა | 19 | 9 | 5 | 5 | 27:24 | 32 |
| 5.პალერმო | 19 | 9 | 4 | 6 | 32:22 | 31 |
| 6.იუვენტუსი | 19 | 8 | 7 | 4 | 33:24 | 31 |
| 7.ინტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:16 | 29 |
| 8.უდინეზე | 19 | 8 | 3 | 8 | 27:25 | 27 |
| 9.სამპდორია | 18 | 6 | 8 | 4 | 20:17 | 26 |
| 10.ბოლნია | 19 | 6 | 7 | 6 | 19:24 | 25 |
| 11.კალიარი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:18 | 23 |
| 12.ფიორენტინა | 18 | 6 | 5 | 7 | 20:20 | 23 |
| 13.ჯენოა | 18 | 6 | 5 | 7 | 13:15 | 23 |
| 14.კიევო | 19 | 5 | 7 | 7 | 19:21 | 22 |
| 15.პარმა | 19 | 5 | 7 | 7 | 19:23 | 22 |
| 16.კატანია | 19 | 5 | 6 | 8 | 17:24 | 21 |
| 17.ჩეზენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13:21 | 19 |
| 18.ლეჩე | 19 | 5 | 3 | 11 | 18:36 | 18 |
| 19.ბრეშა | 4 | 3 | | 12 | 15:26 | 15 |
| 20.ბარი | 19 | 3 | 5 | 11 | 12:28 | 14 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მალიორკა-ალმერია | 4:1 |
| ოსასუნა-ხეტაფე | 0:0 |
| რასინგი-ხიხონი | 1:1 |
| ესპანიოლი-სარაგოსა | 4:0 |
| რეალი-ვილიარეალი | 4:2 |
| ლევანტე-ვალენსია | 0:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 57-10 | 49 |
| 2.რეალი | 18 | 15 | 2 | 1 | 46-16 | 47 |
| 3.ვილიარ. | 18 | 11 | 3 | 4 | 34-18 | 36 |
| 4.ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 27-20 | 34 |
| 5.ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 23-24 | 31 |
| 6.ატლეტიკო | 17 | 8 | 3 | 6 | 27-19 | 27 |
| 7.ხეტაფე | 18 | 8 | 3 | 7 | 28-25 | 27 |
| 8.მალიორკა | 18 | 8 | 3 | 7 | 23-21 | 27 |
| 9.ბილბაო | 18 | 8 | 2 | 8 | 27-30 | 26 |
| 10.სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 25-29 | 26 |
| 11.სოსიედადი | 18 | 7 | 1 | 10 | 25-31 | 22 |
| 12.დეპორტ. | 18 | 5 | 6 | 7 | 15-24 | 21 |
| 13.რასინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 14-24 | 20 |
| 14.ერკულესი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-25 | 19 |
| 15.ოსასუნა | 18 | 4 | 6 | 8 | 15-21 | 18 |
| 16.მალაგა | 18 | 5 | 2 | 11 | 23-37 | 17 |
| 17.ლევანტე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-29 | 15 |
| 18.ხიხონი | 18 | 2 | 7 | 9 | 14-27 | 13 |
| 19.ალმერია | 18 | 2 | 7 | 9 | 16-31 | 13 |
| 20.სარაგოსა | 18 | 2 | 7 | 9 | 16-32 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხერესი-რაიო | 0:1 |
| უესკა-ბეტისი | 1:1 |
| ტენერიფე-ალბასეტე | 0:1 |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ორიაკი-ნანსი | 2:2(3:4პ) |
| ისი-ბრესტი | 0:1(დდ) |
| ბულონი-ამიენი | 2:2(5:4პ) |
| რენი-კანი | 7:0 |
| ევიანი-მარსელი | 3:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ფერეირა | 0:0 |
| ნაციონალი-ბეირა მარი | 0:0 |
| რიუ ავე ოლჰანენსე | 0:1 |
| გიმარაეში-ნავალი | 1:2 |
| ლეირია-ბენფიკა | 0:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 15 | 13 | 2 | 0 | 36:6 | 41 |
| 2.ბენფიკა | 15 | 11 | 0 | 4 | 30:14 | 33 |
| 3.სპორტინგი | 15 | 8 | 4 | 3 | 22:14 | 28 |
| 4.ლეირია | 15 | 7 | 3 | 5 | 16:17 | 24 |
| 5.გიმარაეში | 15 | 6 | 4 | 5 | 20:19 | 22 |
| 6.ნაციონალი | 15 | 6 | 4 | 5 | 14:15 | 22 |
| 7.ბრაგა | 15 | 6 | 2 | 7 | 26:21 | 20 |
| 8.ბეირა მარი | 15 | 4 | 8 | 3 | 17:18 | 20 |
| 9.ოლჰანენსე | 15 | 4 | 7 | 4 | 12:13 | 19 |
| 10.აკადემიკა | 15 | 5 | 4 | 6 | 20:25 | 19 |
| 11.მარიტიმუ | 15 | 3 | 7 | 5 | 14:14 | 16 |
| 12.ფერეირა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| 13.სეტუბალი | 15 | 4 | 4 | 7 | 12:20 | 16 |
| 14.რიუ ავე | 15 | 3 | 5 | 7 | 15:20 | 14 |
| 15.პორტიმონ. | 15 | 2 | 3 | 10 | 16:29 | 9 |
| 16.ნავალი | 15 | 2 | 2 | 11 | 9:28 | 8 |

**შოტლანდია. თასი**

| | |
|---|---|
| დანდი-მოზერველი | 0:4 |
| ბერიკი-სელტიკი | 0:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ატრომიტოსი | 1:0 |
| პანიონიოსი-ქსანთი | 0:2 |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი(ვ) | 0:0 |
| პანსერაიკოსი-აეკი | 1:3 |
| პაოკი-ასტერასი | 1:0 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი | 0:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-საკრამენტო | 118:112 |
| კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 105:91 |
| სან ანტონიო-მინესოტა | 94:91 |
| ფინიქსი-კლივლენდი | 108:100 |
| დენვერი-ნიუ ორლეანი | 87:96 |
| პორტლენდი-მაიამი | 100:107(ოტ) |
| ლეიკერსი-ნიუ იორკი | 109:87 |

### ჩოგბურთი

**ატპ. სიდნეი. პარი**

| | |
|---|---|
| ბეკერი-სტახოვსკი | 6:7;6:7 |
| მაიერი-უორდი | 7:5;6:0 |
| დელ პოტრო-ლოპესი | 6:7;7:6;7:6 |
| ანდრეევი-შარდი | 6:2;6:4 |
| ნიემინენი-ჟილი | 2:6;0:6 |

**ვტა. სიდნეი. პარი**

| | |
|---|---|
| მარტინეს ........ სანჩესი-ჰანტუხოვა | 6:2;6:4 |
| პენეტა-ჰრადეცკა | 6:4;6:3 |
| პაზანო-ზაჰლავოვა | 7:6;6:2 |
| პეტროვა-ზაჰლავოვა სტრიცოვა | 2:6;2:6 |
| კანეპი-იოვანოვსკი | 4:6;4:6 |
| სკიავონე-კლეიბანოვა | 7:6;1:6;2:6 |
| სტოსური-ვიკმაიერი | 7:5;6;4 |
| იანკოვიჩი-რეზაი | 5:7;6:2;3:6 |

**ვტა. ჰობარტი. პარი**

**სუარეს ნავარო-ბირანტი**

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ატლანტა | 4:3(ოტ) |
| ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი | 6:3 |
| მინესოტა-დალასი | 0:4 |
| ჩიკაგო-აილენდერსი | 5:0 |
| ანაჰაიმი-სან ხოსე | 1:0 |

# კონგრესმენზე თავდამსხმელს ბრალდებები წაუყენეს



აშშ-ის ხელისუფლებმა ექვსი ადამიანის მკვლელობასა და მკვლელობის მიზნით ამერიკელ კონგრესმენ გაბრიელ გიფორდსზე თავდასხმაში ეჭვმიტანილ 22 წლის ჯარედ ლი ლოფნერს ბრალდებები წაუყენეს.

ბრალდებები მას არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსის სასამართლოში წაუყენეს. იმ შემთხვევაში თუკი ლოფნერი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, მას სიკვდილი შეიძლება მიუსაჯონ.

კონგრესმენი გრიფორდსი კვლავინდებურად საავადმყოფოში იმყოფება და მის მდგომარეობას ექიმები აფასებენ, როგორც კრიტიკულს.

ტრაგედია შაბათს მოხდა, ასობით ადამიანის თვალწინ პისტოლეტით შეიარაღებულმა მამაკაცმა სროლა ატეხა. გარდა გიფორდსისა, დაიჭრა კიდევ 13 ადამიანი, დაიღუპა ექვსი, მათ შორის გიფორდსის თანაშემწე, ფედერალური მოსამართლე და 9 წლის გოგონა.

ჯერჯერობით აშშ-ის პროკურატურამ ლოფნერს მხოლოდ მკვლელობის და სახელმწიფო მოსამსახურეების სიცოცხლის ხელყოფის ბრალდებები წაუყენა. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში არიზონას ხელისუფლები მას დანარჩენ დაზარალებულებზე თავდასხმის ბრალდებებსაც წაუყენებენ.

თვითმხილველების თქმით, თავდამსხმელი უკნიდან მიუახლოვდა გიფორდსს, რომელიც ამ დროს სიტყვით გამოდიოდა და უსიტყვოდ ესროლა მას. შემდეგ უწესრიგო სროლა ატეხა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, თავდამსხმელმა იარაღის გადატენა რომ სცადა, ვიღაც ქალმა მას მჭიდე გამოსტაცა. მან მაინც მოახერხა სათადარიგო მჭიდის იარაღში ჩადება, მაგრამ იარაღმა უმტყუნა და იგი ორმა მამაკაცმა დააკავა.

ადგილობრივი შერიფის თქმით, ეს შემთხვევა რომ არა, მსხვერპლი უფრო მეტი იქნებოდა.

პოლიციელებმა არიზონას შტატის ქალაქ ტუსონში ლოფნერის სახლის ჩხრეკის დროს იპოვეს კონვერტი, რომელზეც ხელით წარწერილი იყო „მე წინასწარ დავგეგმე“, „ჩემი მკვლელობა“ და ხელმოწერა „გიფორდსი“.

ყოფილი თანაკლასელები ლოფნერს აფასებენ, როგორც აშკარად გაუწონასწორებელ ადამიანს. მათი თქმით, იგი არავისთან ამხანაგობდა და ინტერნეტში ანტისამთავრობო ვიდეოებს აქვეყნებდა.

თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე მან ინტერნეტში, ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ჩაწერა: „ნახვამდის მეგობრებო, ძვირფასო მეგობრებო, ნუ გამიბრაზდებით“.

იმავდროულად, ექიმების თქმით, გიფორდსის მდგომარეობა გაუმჯობესდა. იგი საუბარზე რეაგირებს. იმავდროულად, ექიმები სრული გამოჯანმრთელების პერსპექტივებზე საუბრისაგან თავს იკავებენ, მაგრამ მომავალს „ფრთხილი ოპტიმიზმით“ უყურებენ.

40 წლის გიფორდსს კოლეგები დემოკრატიული პარტიიდან აშშ-ის პოლიტიკის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევდნენ.

გიფორდსის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას პირველად არ ჩადიან. გასული წლის მარტში მისი ოფისი ბარბაროსულად დაარბიეს, რადგან მან პრეზიდენტ ობამას მიერ შემოთავაზებულ ჯანდაცვის რეფორმას დაუჭირა მხარი, რითაც არიზონელი კონსერვატორები აშკარად გაანაწყენა.

გიფორდსი კონგრესის რამდენიმე კომიტეტის წევრი იყო, მათ შორის შეიარაღებული ძალებისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტებისა.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში მიმდინარე კვირისათვის დაგეგმილი დებატების მომავალი კვირისათვის გადადების გადაწყვეტილება მიიღეს.

**გ.თ.**

## ყინულის მუსიკის კონცერტი ლონდონში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბა, თუ რა თქმა უნდა, კონცერტი ყინვაში არ გაიმართება. ყინვაში კი დაკვრა შეუძლებელია, რადგან ტუჩები ყინულს ეწებება.

ლონდონში ამჟამად არ ყინავს და ნორვეგიელმა მუსიკოსმა თან მრავალი ინსტრუმენტი ჩამოიტანა. ჟურნალისტების შეკითხვის პასუხად, თუ რატომ არ ამზადებს იგი ინსტრუმენტებს ადგილზე, ამისათვის ხომ უბრალოდ ფორმაში წყლის ჩასხმა იქნებოდა საკმარისი, ნორვეგიელმა მუსიკოსმა განაცხადა, რომ ინსტრუმენტები ბუნებრივი ყინულისაგან უნდა იყოს დამზადებული.

„რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ინსტრუმენტების აქ დამზადება, მაგრამ ეს უკვე ხელოვნური ყინული იქნება, ხელოვნური ყინული კი კარგად არ ჟღერს, სათანადო რეზონანსს არ იძლევა და ასეთი ინსტრუმენტებით კონცერტის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა. ყინული ბუნებრივი უნდა იყოს და ასეთი ყინულის პოვნა ძალიან ძნელია. ყინულის ხარისხი დამოკიდებულია იმ წყალზე, რომელიც იყინება, იმ ადგილზე, სადაც იგი გაიყინა, გარდა ამისა, იმაზე, თუ როგორი იყო იქ ზამთარი. ერთხელ, 2003 წელს ჩრდილოეთში ვიყავი, შვედეთის ჩრდილო-დასავლეთით იქაური ყინული ვნახე და მივხვდი, რომ უკეთესს ვერსად ვნახავდი. ზოგიერთი წელი კარგია, ზოგი ცუდი, ყინულიც შესაბამისად, ზოგჯერ კარგი გამოდის, ზოგჯერ ცუდი“, — განაცხადა მან.

ტერიე დასაკრავ ინსტრუმენტებზე უკრავდა, სხვადასხვა ანსამბლებში გამოდიოდა. ნორვეგია ჩრდილოეთში მდებარეობს, ყინულით აქ ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მაინც ყინულისაგან ინსტრუმენტების დამზადება მეტად უჩვეული იდეა.

„როგორც კომპოზიტორი, დიდი ხანია ვიყენებ მუსიკის შექმნის უჩვეულო მეთოდებს, — ამბობს იგი, — ასე, მაგალითად, მქონდა კომპოზიცია მსოფლიოში უდიდესი ნავთობის ჭაბურღილისათვის, მოლტიეში გამართული ჯაზ ფესტივალის დროს, გარდა ამისა, შევქმენი კომპოზიცია ადგილობრივი ქარხნის ხმებისათვის, მქონდა კომპოზიცია ხისათვის, ქვისთვის და ა. შ. ერთხელაც, 2000 წელს ნორვეგიის ჩრდილოეთით გამართული ფესტივალის დროს სპეციალური კომპოზიციის შექმნა მთხოვეს. მხოლოდ ბუნებრივი მასალების გამოყენება გადავწყვიტე, კონცერტი კი გამოქვაბულში მიმდინარეობდა, სადაც ჩანჩქერი იყო გაყინული. იქ ქვებიც იყო, ხეც, მიკროფონი ყინულს მივადე და შესანიშნავი ბგერები მივიღე“.

მისი ინსტრუმენტების უმეტესობა დასარტყმელია, ყინული სხვადასხვანაირად რეზონირებს და წკრიალებს, იმის მიხედვით, თუ როგორია ინსტრუმენტის კონსტრუქცია.

ტერიეს კონცერტების დროს მომღერალი ლიინა ნიმარკი ეხმარება.

ტერიე ისუნგსეტი ექვსი ალბომის ავტორია. ინსტრუმენტებს შინ ინახავს, უზარმაზარ მაცივარში, რომლის ფართობიც 18 კვადრატული მეტრია. ყოველწლიურად, მშობლიურ ქალაქ გეილოში იანვრის ბოლოს ყინულის მუსიკის ფესტივალს მართავს.

**გ.თ.**

## საქალაქთაშორისო სამარშრუტო რეისებით მგზავრობა შესაძლოა გაძვირდეს

საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალანია მგზავრობის ფასის მატებაზე სრულ პასუხისმგებლობას ტრანსპორტის ადმინისტრაციას აკისრებს.

მისი თქმით, ტრანსპორტის სფეროში ვითარება დღემდე მოუწესრიგებელია. ამის მიზეზი უამრავი დაურეგისტრირებელი სამარშრუტო მანქანა და მათი მფლობელია. ეს ვითარება კი იძულებულს ხდის პატიოსან მძღოლს, მოიქცეს რუსთავის სამარშუტო ტაქსების მძღოლების მსგავსად—გააძვიროს მგზავრობა. ლავრენტი ალანია მიიჩნევს, რომ ვიდრე ტრანსპორტის ადმინისტრაცია შესაბამის სქემაზე დაიწყებს მუშაობას, მანამდე რეისები თვითმმართველობებმა უნდა დაამტკიცონ.

— ტრანსპორტის კომპანია დღემდე არ ახორციელებს კონტროლს აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქალაქთაშორისო გადაზიდვებზე. ამის შედეგად აღნიშნულ მიმართულებებზე მუშაობენ ე.წ. „მტაცებლები“, დაურეგისტრირებელი მანქანები, რომელთა მფლობელები არ იხდიან გადასახადს. ამასთან, მგზავრებს იაფ, თუმცა სახიფათო მგზავრობას სთავაზობენ, — აცხადებს ლავრენტი ალანია.

**მედიანიუსი**

## ლილოს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში 28 ადამიანი დასაქმდა

თბილისის მერიის პროექტის ფარგლებში, ლილოს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში 28 ადამიანი დასაქმდა. ეკონომიკური ზონა გუშინ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ დაათვალიერეს და მერიის პროექტით დასაქმებულ ადამიანებს შეხვდნენ.

აღნიშნული პირები "გეზში" ყოველდღიურად, ასობით იმპორტიორს ემსახურებიან და უმოკლეს ვადებში ტვირთის შემოწმება-გაფორმებაზე მუშაობენ.თბილისის მერიაში დასაქმების მსურველთა ბაზაა შექმნილი, რომელიც ქალაქის 30 მუნიციპალიტეტში არსებულ მონაცემებს აერთიანებს. მასში დარეგისტრირება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. დედაქალაქის მთავრობა როგორც კერძო სექტორთან, ისე სახემწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობს და დასაქმების ბაზაში დარეგისტრირებულ თბილისელებს მუშაობის დაწყებაში ეხმარება. დასაქმების ბაზის განახლება ყოველდღიურად მიმდინარეობს. დამსაქმებელი კომპანიები ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას თბილისის მერიას აწვდიან და კადრებს მერიის დასაქმების მსურველთა ბაზიდან არჩევენ. როგორც მერიაში აცხადებენ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე ორასამდე თბილისელი დასაქმდა.

**პრაიმ-ნიუსი**

## სუდანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებდა

რუსი ექსპერტი, ახალი სახელმწიფოების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი ალექსეი მარტინოვი ამტკიცებს, რომ სუდანი მზად იყო, ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. თუმცა რუსითის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩარევის შედეგად სუდანმა ასეთი ნაბიჯი არ გადადგა.

სააგენტო „რეგნუმითან“ საუბრისას რუსი ექსპერტი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია რუსი ჩინოვნიკების ასეთი აქტიური პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. მარტინოვი დარწმუნებულია, რომ სუდანის გადაწყვეტილება პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რადგან ქვეყანაში შიდასეპარატიზმის პრობლემა კვლავ აქტუალურია. ხოლო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ერთგვარი მაგალითი უნდა ყოფილიყო პრობლემის გადაწყვეტისა, რადგან ამ ორმა რეგიონმა დამოუკიდებლობა რეფერენდუმის გზით მოიპოვეს და განამტკიცეს.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2009 წლის მარტში სანკტ-პეტერბურში, საერთაშორისო კონფერენციის — „სახელმწიფოსა და რეგიონის იმიჯი თანამდეროვე საინფორმაციო სივრცეში“ - ფარგლებში გაიმართა სუდანისა და დასავლეთ საჰარის ხელისუფლებების წარმომადგენლებისა და რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ელჩის შეხვედრა. საინფორმაციო სააგენტო “რეგნუმის“ ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე აფხაზეთის აღიარების და მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილებოდა. დღეს კი სუდანში ერთკვირიანი რეფერენდუმი დაიწყო, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, გახდება თუ არა სამხრეთ სუდანი დამოუკიდებელი, თუ ქვეყანა კვლავ ერთიანი დარჩება.

**მედიანიუსი**

## ავიაკატასტროფა ირანში — 77 ადამიანი დაიღუპა



ირანის ჩრდილო დასავლეთით მომხდარი ავიაკატასტრიფის შედეგად 77 ადამიანი დაიღუპა, 26 დაშავდა.

ირანის ოფიციალური წყაროების თანახმად, კომპანია „იარნეარის“ თვითმფრინავი, რომელიც თეირანიდან ქალაქ ურმიას მიმართულებით ასრულებდა რეისს, ჩამოვარდა.

ძლიერი თოვის და ნისლის გამო ეკიპაჟმა პირველ ცდაზე თვითმფრინავის დასმა ვერ შეძლო და ტრაგედია მეორე მცდელობისას მოხდა.

ირანის წითელი ნახევარმთვარის წარმომადგენლების განცხადებით, თვითმფრინავი დარტყმის შედეგად რამდენიმე ნაჭილად დაიშალა, თუმცა არ აფეთქებულა.

სამაშველო ოპერაციას ართულებდა ისიც, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილას თოვლის საფარის სისქე 70 სმ-ს აღწევდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ირანის კუთვნილი რამდენიმე თვითმფრინავი დაზიანდა. ბოლო მსხვილი ავიაკატასტროფა აქ 2009 წელს მოხდა.

რუსულ-ირანული ავიაკომპანიის „კასპიან ეარლაინზის“ კუთვნილი თვითმფრინავი ტუ-154-ემ თეირანიდან ერევნისაკენ ასრულებდა რეისს. თვითმფრინავში მყოფი 168 ადამიანი დაიღუპა.

2003 წელს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამხედრო თვითმფრინავის ავიაკატასტროფის შედეგად 276 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

2002 წლის თებერვალში ტუპოლევის წარმოების კიდევ ერთი თვითმფრინავი ირანის დასავლეთით ჩამოვარდა. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი 199-ვე ადამიანი.

ირანის საჰაერო ფლოტი ძირითადად მოძველებული თვითმფრინავებისაგან შედგება. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში ავიაკატასტროფები მოძველებული თვითმფრინავების უხარისხო მომსახურებით არის გამოწვეული.

**გ.თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შენობა მუსიკალური წარმოდგენისათვის ძველად საბერძნეთში; 2. პურეული მცენარე; 3. ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 4. ერთგვარი საარტილერიო ქვემეხი; 5. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 7. იაპონური თოჯინების თეატრი; 11. ოფიციალური საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 12. არწივის ნაშიერი; 13. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 14. გურიის უკანასკნელი მთავარი; 15. პაუზა მუსიკალურ ნაწარმოებში; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 19. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 5. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 6. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უნივერსიტეტში; 8. ცხენისა და ვირის ნაჯვარი; 9. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 10. ველური ვარდი; 11. შაქრის ლერწმის არაყი; 13. თანამედროვე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 14. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 16. წინაპართა მიერ დამკვიდრებული წეს-ჩვეულება, რომელიც თაობიდან-თაობას გადაეცემა; 18. იტალიელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიას“ ავტორი; 20. ჭადრაკის ფიგურა; 21. ბრიყვი, სულელი, უმეცარი ადამიანი.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პასატი; 4. პანთერა; 7. ტვირთი; 9. ნოტისი; 11. პრომეთე; 12. სარკაზმი; 13. სამარა; 17. ფრონტი; 18. კუდი; 19. ანარქიზმი; 20. კირილიცა.

**შვეულად:** 1. პონი; 2. ტაიგა; 3. ორიონი; 5. ალური; 6. რეგტაიმი; 8. სტრონციუმი; 10. ეთნარქი; 12. სარდინი; 14. ბოლიდი; 15. ბილიკი; 16. ტვინი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ამილაზა; 2. ენდრო; 3. აზოტი; 4. მიომა; 5. ოდრა; 6. „იმედი“; 7. ქანდარა; 8. იადონი; 9. პარლამენტი; 10. სე; 11. ოხრა; 12. რაე; 13. „ტამანგო“; 14. გილიოტინა; 15. ურა; 16. შანხაი; 17. აბე; 18. ამინ; 19. ენა; 20. ეშაფოტი; 21. არს; 22. მარკა; 23. ერა; 24. მარაბუ; 25. მათარა; 26. ბარაკუდა; 27. „აპასიონატა“; 28. ადმირალი; 29. არბალეტი.

**სურათებზე:** ანი ჟირარდო; მაურო კამორანეზი.

# დღის კალენდარი

## 11 იანვრისთვის



**წლის მე-11 დღე, ახალ წლამდე დარჩა 354-ე დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**სამშაბათი**

ხსენება 14 ათასი წმიდა მოწამე ჩვილი ყრმისა, ჰეროდე მეფის დროს ამოწყვეტილთა ქრისტესთვის იუდეაში (ბეთლემში); ღირსი მამების: მარკელისა, დაუძინართა„ სავანის წინამძღვარისა და თადეოზ აღმსარებელისა, თეოდორე სტუდიელის მოწაფისა. ხსენება მართლისა იოსებ დამწინდველისა, დავით მეფისა — ფსალმუნთა მთქმელისა და იაკობისა, ძმისა უფლისა.

14 ათასი წმიდა მოწამე ყრმა ჰეროდე მეფის მიერ იქნენ ამოწყვეტილნი იუდეას ქალაქ ბეთლემში ღვთაებრივი ყრმის იესო ქრისტეს შობის შემდეგ. როცა დადგა ჟამი უდიდესი მოვლენის აღსრულებისა ღვთის ძის განხორციელებისა მისი შობისა ყოვლადუბიწო ქალწულისაგან, მაშინ აღმოსავლელმა მოგვებმა ცაზე ახალი კაშკაშა ვარსკვლავი დაინახეს, რომელიც მომასწავებელი იყო იუდეველთა მეფის შობისა. ისინი დაუყოვნებლივ გაემართნენ იერუსალიმს და მთელი გზის მანძილზე მათ ის ნათელი ვარსკვლავი მოუძღოდათ მეგზურად. მას შემდეგ, რაც თაყვანი სცეს ახლად შობილ მხსნელს ქვეყნისას, ისინი იერუსალიმში აღარ დაბრუნებულან ჰეროდესთან, რომელსაც იუდეველთა მომავალი მეფის ადგილსამყოფელის შეტყობა სურდა მათგან, არამედ სხვა გზით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. მაშინ ჰეროდე მეფე მიხვდა, რომ მისი განზრახვა ეპოვა ახლადშობილი და მოეკლა იგი, ვერ განხორციელდება. ამის გამო მან ბრძანა ყველა ახლადშობილი ყრმა მამრობითი სქესისა და ორ წლამდე ასაკისა ამოეწყვიტათ ბეთლემში, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მათ შორის ღვთაებრივი ყრმაც აღმოჩნდებოდა, რომელშიც იუდეველთა მეფე თავის მომავალ მეტოქეს ხედავდა. ბეთლემს ჰეროდე მეფის ბრძანებით ამოწყვეტილნი ყრმანი პირველი მოწამენი იყვნენ ქრისტესათვის.

ღირსი მამა თადეოზ აღმსარებელი მოწაფე იყო ღირსი თეოდორე სტუდიელისა. ხატმბრძოლი მწვალებლობის დროს იგი თავის დიდ მასწავლებელთან ერთად მხნედ იცავდა ჭეშმარიტ აღმსარებლობას და უკეთური იმპერატორის ლევ V სომეხის დროს ევნო წმინდა ხატების თაყვანისცემისთვის.

### დაიბადნენ:

1503 — ფრანჩესკო პარმიჯანინო (მაცოლა), იტალიელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1540 წელს.

1859 — ჯორჯ კერზონი, ინგლისელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. გარდაიცვალა 1925 წელს.

1903 — ბენჯამინ სპოკი, ცნობილი ამერიკელი პედიატრი. გარდაიცვალა 1998 წელს.

1907 — პიერ მენდეს-ფრანსი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1982 წელს.

1916 — ბერნარ ბლიე, ფრანგი კინომსახიობი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1929 — რაფაელ ეიტანი, ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

1941 — გოჩა ჩოგოვაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1956 — დავით ანდღულაძე, რეჟისორი.

### გარდაიცვალნენ:

1055 — კონსტანტინე IX მონომახი, ბიზანტიის იმპერატორი 1042-1055 წლებში.

1786 — მოზეს მენდელსონი, გერმანელი განმანათლებლობის იდეალისტური ფრთის წარმომადგენელი.

1798 — ერეკლე II, კახეთის მეფე (1744-1762), ქართლ-კახეთის მეფე (1762-1798).

1977 — ვლადიმერ (ლადო) გრიგოლია, ქართველი გრაფიკოსი და მოქანდაკე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1698 — „დიდი ელჩობა" პეტრე I-ის ხელმძღვანელობით ლონდონში ჩავიდა. პეტრე I-მა მოინახულა გრინვიჩის ობსერვატორია, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისის სამეფო სამეცნიერო საზოგადოება.

1787 — ინგლისელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა ურანის ორი თანამგზავრი: ობერონი და ტიტანი.

1867 — ბენიტო ხუარესი ფრანგული ჯარების გასვლისა და იმპერატორ მაქსიმილიანის სიკვდილის დასჯის შემდგომ მექსიკის პრეზიდენტი გახდა.

1943 — დიდმა ბრიტანეთმა ხელშეკრულება დადო ჩინეთთან, რომლის მიხედვითაც უარს ამბობდა თავისი სამფლობელოების ექსტერიტორიულ უფლებებზე ამ ქვეყანაში.

1952 — შეიქმნა გაეროს კომისია განიარაღების საკითხებში.

1960 — ჩადის რესპუბლიკა დამოუკიდებელი გახდა.

1966 — გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი.

1989 — 149 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღისა და მომწამვლელი აირის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

1994 — მუშაობას შეუდგა რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — ფედერალური კრება.

**მედიანიუსი**

# ესპანეთში მხოლოდ ორი გუნდია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლურ შედეგიანობას აჩვენებს — 62 მატჩი და 63 გატანილი გოლი. საშუალოდ, მატჩში გოლზე მეტი! ასეთი შედეგიანობა თანამედროვე ფეხბურთში წარმოუდგენელია.

მადრიდიდან კატალონიაში გადავინაცლოთ და ახლა იქაურ ამბებზეც მოგახსენებთ. „ბარსელონამ" ბოლო ტურში ჩვეულად ითამაშა და „დეპორტივო" სტუმრად 4:0 დაამარცხა.

„დეპორტივოს" რბევას სათავე დავიდ ვილიამ დაუდო, რომელმაც ლეო მესის შესანიშნავი პასის შემდეგ გახსნა ანგარიში. ეს იყო „ელ გუახოს" 150-ე გოლი ესპანურ პრიმერაში.

სწორედ ამ გოლმა მისცა დამშვიდების საშუალება კატალონიელებს, რომელთა რიგებში შემდეგში მესი, ანდრეს ინიესტა და პედრო გამოირჩნენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ბარსელონამ" მიმდინარე სეონში მე-9 მატჩი ჩაატარა სტუმრად და ყველა მოიგო. ის 4 ქულა, რომელიც კატალონიელებს მიმდინარე სეონში აქვთ დაკარგული, „ერკულესთან" (0:2) და „მალიორკასთან" (1:1) საშინაო მატჩებს მოჰყვა.

— ბედნიერი ვარ, რომ გოლის გატანა მოვარხე. ის ფაქტი, რომ ჩემმა გოლმა მეტოქე გატეხა, კიდევ უფრო მახარებს. ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელი საჭიროა საქმისთვის. მაგალითად, „დეპორტივოსთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ ხავი და სერხიო ბუსკეტსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხმა მოიკლო. არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება მოედანზე — ჩვენ სრულფასოვანი შემცვლელებიც მოგვეძებნება. რაც შეეხება სტუმრად 100-პროცენტიან მოგებების სერია, ეს რაღაც ახალია და უნიკალური. ასეთ მიღწევას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამაყი ვარ, რომ ეს ჩვენი გაწეული მუშაობის შედეგია, — განაცხადა ვილიამ, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავისი გოლების რაოდენობა 12-მდე გაზარდა.

„დეპორტივოსთან" გამარჯვების შემდეგ კმაყოფილებას არ მალავდნენ „ბარსელონას" სხვა ფეხბურთელებიც.

— პირველ ტაიმში კარგად ჩანდა, რომ თამაშს ვაკონტროლებდით, მაგრამ შესაძლებელი იყო, ბურთიც გაგვეშვა. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა, ხოლო როდესაც მესიმ გოლი გაიტანა, ნათელი გახდა, რომ გავიმარჯვებდით. საერთოდ, გუნდი გასვლით მატჩებს ყოველთვის მობილიზებული და მომზადებული ხვდება, რადგან ვიცით, რომ ასეთ მატჩებში იოლად არაფერი მოვა. ხოლო როდესაც მაღალ დონეზე ვთამაშობთ, ჩვენი შეჩერება ცოტა ძნელია. მატჩიდან მატჩამდე უფრო ვუმატებთ და ფეხბურთელებიც სერიოზულად არიან განწყობილი, — განაცხადა ხერარდ პიკემ.

მე-3 გოლის ავტო ინიესტას აზრით, კი საჭიროა ასეთი საფეხბურთო დონე „ბარსელონამ" მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნოს.

— შტამბეჭდავი შედეგია, მაგრამ წინსვლას მაინც განვაგრძობთ. ახლა მაღალ დონეზე ვდგავართ და საჭიროა, ეს მაქსიმალურად დიდხანს შევინარჩუნოთ, რათა სეზონის ბოლო მატჩებს მეტი თვითდაჯერებით შევხვდეთ და დამსახურებული ტიტულები მოვიპოვოთ. ახლა დასვენების დრო ნამდვილად არ გვაქვს, — აცხადებს „ოქროს ბურთის" პრეტენდენტი, რომელიც გუშინ საღამოს გაირკვეოდა.

„რიასორზე" თამაში ყოველთვის რთულია, მეტოქეც არ არის ჯაბანი. თუმცა, ძალიან კარგად ვითამაშეთ და ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. საერთოდ, შინაური კედლებიდან მოშორებით მოგება ყოველთვის რთულია, მაგრამ გუნდი ისეთი მოტივირებულია, რომ მისი შეჩერება წარმოუდგენელიც მგონია. ერთია, მიღწეულზე შეჩერებას ნამდვილად არ ვაპირებთ და გვინდა ჩვენი მუზეუმი ჯილდოებით შევავსოთ, — განაცხადა კარლეს პუიოლმა.

# ადვოკატები პლასტიკური მოწმობებით ისარგებლებენ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობების პლასტიკური ბარათებით შეცვლა დაიწყო.

ბარათები ორენოვანია — ქართული და ინგლისური, სადაც განთავსდება ადვოკატის სახელი და გვარი, სპეციალიზაცია და სიითი ნომერი.

როგორც „მედიანიუსს" ასოციაციაში განუცხადეს, თანამედროვე დიზაინის პლასტიკური ბარათები დაცული იქნება გაყალბებისაგან, ასევე ხელს შეუწყობს საქართველოში ადვოკატთა რეესტრის სისტემატიზაციას, რეგულარულ განახლებას.

2011 წლის 10 მარტიდან იკრძალება ძველი საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის გამოყენება.

**მედიანიუსი**

# ევროკავშირისთვის „აღმოსავლეთ პარტნიორობა" კვლავ პრიორიტეტი იქნება

ევროკავშირში თავმჯდომარეობისას, უნგრეთის ერთ-ერთი პრიორიტეტი პროგრამის „აღმოსავლეთ პარტნიორობა" განვითარება იქნება. განცხადება ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ურბანმა ევროკავშირის საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

— ამ პროგრამის წარმატებას ევროპული თანამეგობრობის მნიშვნელოვანი გაძლიერება შეუძლია, — აღნიშნა უნგრეთის პრემიერმა.

ორბანის ცნობით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მორიგი სამიტი მიმდინარე წლის მაისში, ბუდაპეშტში გაიმართება.

უნგრეთმა ევროკავშირში როტაციული თავმჯდომარეობა 2011 წლის 6 იანვარს გადაიბარა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" მონაწილეები არიან საქართველო, Xაზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, უკრაინა და ბელორუსი. პროგრამის მიზანი ამ ქვეყნების პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროკავშირთან დაახლოებაა.

**ინტერპრესნიუსი**

# შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში 28 ადამიანი დასაქმდა

შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში თბილისის მერიის დასაქმების პროგრამით 28 ადამიანი დასაქმდა.

თბილისის მერმა გიგი უგულავამ და შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ დღეს ლილოს ტერიტორიაზე არსებული გაფორმების ეკონომიკური ზონა დაათვალიერეს და თბილისის მერიის პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ადამიანებს შეხვდნენ.

გაფორმების ეკონომიკური ზონა, რომელიც 12 ჰექტარზეა გაშენებული, ექსპლუატაციაში დეკემბერში შევიდა. იქ ამჟამად უკვე 120 ადამიანია დასაქმებული. აღნიშნული პირები გეზ-ში ყოველდღიურად 100-ობით იმპორტიორს ემსახურებიან და ტვირთის შემოწმებასა და გაფორმებაზე მუშაობენ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, სახელმწიფო უწყების მთავარი ფუნქციაა დააკავშიროს დამსაქმებელთან დასაქმების მსურველი, ასეთები კი, თბილისის მერიის ბაზაში ძალიან ბევრნი არიან. მერმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის გარდა, იგეგმება რომ გეზ-ი გაიხსნას ფოთსა და ბათუმში.

აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, ამასთან ერთად, ბიუროკრატიის შემცირებას და საქმეების გამარტივებას. მერი აცხადებს, რომ წლების განმავლობაში, საბაჟო ერთ-ერთი რთულად მოსაგვარებელი პრობლემა იყო და ეს მომავალში ასე აღარ იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# ეკონომიკის სამინისტრო „თბილისის გინეკოლოგიურ კლინიკას" ყიდის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „თბილისის გინეკოლოგიურ კლინიკას" ჰყიდის.

სამინისტროს ინფორმაციით, პირობებიან აუქციონზე გამოტანილი იქნება წინანდლის ქ. 9-ში მდებარე „თბილისის გინეკოლოგიური კლინიკის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 350 000 ლარია.

აუქციონის პირობების მიხედვით, ობიექტის ახალი მფლობელი ვალდებულია კლინიკას პროფილი 7 წლის განმავლობაში შეუნარჩუნოს. სამინისტროში დაინტერესებულ პირთა განაცხადები 21 იანვრამდე მიიღება. აუქციონი ამავე დღეს 17:00 საათზე გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე მარინა, შვილები ბექა, ბესო და მაგული, ძმა ჯემალი, რძალი მარინა, სიძე ამირან გოგელაძე, დისშვილები მადონა, მარინა, მაია, ძმისშვილი დათო, ცოლისძმა თამაზ მერკვილაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ გოგსაძე**

პანაშვიდი: 11, 12 იანვარს;
დაკრძალვა: 13 იანვარს.

მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ.№31, ბინა №25.

---

უახლოესი მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ კლარა შუკვანს გამზრდელი მამიდის

**ნინა (ნინო) შუკვანის**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 11 იანვარი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 01.20** დიალოგი დავით პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"პანამელი მკერავი"** (15) (პ. ბროსნანი) (სუბტ.) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი"** **01.00** მხ. ფილმი **"უსაყვარლესი"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"ელენა ტროადან"** **15.30** "გუნცაძეები" **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** კონცერტი "იავნანა" **00.00** მხ. ფილმი **"48 საათი"** (15) (ნ. ნოლტი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** საფეხბურთო მიმოხილვა **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია"** **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** მხ. ფილმი სუბტიტრით **23.00** გადაცემა "მეექვსე გრნობა" **00.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ. **"ლოზას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ. **"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ან.ფილმი "სამსონაძეები" **00.00** ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბ. ლი) (სუბტ.) **02.00** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"ოთხი ოთახი"** (15) (ა. ბანდერასი)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სალომეა"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **23.55** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მულტფილმი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"ბაში აჩუკი"** **16.40** მულტფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** ფილმი-ოპერა **"ელისო"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ. ფილმი "ოსტატები" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.40** შარავანდედი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 11 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო —2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 1-6, ღამით — -4 -1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-1, ღამით — 2-5
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -11-1, ღამით — -18 -4

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.**


## ასტროპროგნოზი 11 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად იმოქმედეთ. **მორიელი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 2. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 5. ეგრისის მთავარი ქალაქი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. სასტუმრო თბილისში; 12. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 13. გამდნარი ლითონების მიერ აირების შთანთქმის ქიმიური პროცესი; 16. მუზეუმი ბერლინში; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. სულის ხუთვა, ჟანგბადის უკმარისობა; 21. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 23. დიდი საწნახელი.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. წმინდა ოქრო; 8. ბელგიური ავიაკომპანია; 9. წითელი ფერის მინერალი, დეკორატიული, მოსაპირკეთებელი ქვა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 18. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 20. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 22. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 24. მთვარიანი ღამე; 25. ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 26. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**




## ყინულის მუსიკის კონცერტი ლონდონში

ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრში მდებარე ცნობილი სომერსეტ ჰაუსის სასახლეში, მდინარე თემზაზე გამომავალ რაივერ ტერასაზე იგლუ, ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხის, ინუიტების საცხოვრებელი კარავია აღმართული და მასში ყინულოვანმა მუსიკამ დაიდო ბინა.

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონისათვის უჩვეულოდ ცივმა ზამთარმა უკან დაიხია, აქ მაინც ცივა და ყინულოვანი მუსიკა, ანუ „აისი მიუზიქ",



როგორც იგლუში გამართულ კონცერტებს უწოდებენ, კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თუმცა, გაუგებარია, რას ნიშნავს ეს სიტყვები, ყინულოვან მუსიკას თუ ყინულის მუსიკას. როგორც ირკვევა, ეს სიტყვები მეტაფორა სულაც არ არის და კონცერტების დროს მართლაც ყინულის მუსიკა გაისმის, ანუ მუსიკა, რომელსაც ყინულის ინსტრუმენტები გამოსცემენ.

ნორვეგიელი მუსიკოსი ტერიე ისუნგსეტი მსოფლიოში ალბათ ერთადერთი მუსიკოსია, რომელიც ყინულის ინსტრუმენტებზე სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს ასრულებს.

ინსტრუმენტები მას ნორვეგიიდან სპეციალური მაცივრით ჩამოაქვს და ყოველი ტრანსპორტირების შემდეგ მხოლოდ ის ადარდებს, გზაში რაიმე ხომ არ დაზიანდა.

მისი ყინულის საყვირი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება, მუსიკოსი მას ხელში ხელთათმანებით იღებს, რადგან შიშველი ხელით შეხებისას ინსტრუმენტი გადნება, ხელები კი გაეყინება. კონცერტი საკმაოდ ხანმოკლეა, თითოეული ინსტრუმენტი მხოლოდ ორსამ შესრულებას უძლებს, შემდეგ დნე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



***

— მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ნაძირალა ბრძანდებით, დუელში გიწვევთ. იარაღი აირჩიეთ: დაშნა თუ პისტოლეტი?

— დაშნა.

— მშვენიერია, მე პისტოლეტს ვირჩევ...

***

ერთი დედა მეორეს:

— ჩემი დათო მშვენიერი ბავშვია, მაგრამ მშობლების კრებაზე სხვისი გვარით დავდივარ...

***

საბავშვო ბაღში:

— ნინიკო, აბა, გვითხარი რამე შენი მშობლების შესახებ.

— მამაჩემი მუშაობს, დედაჩემი კი ლამაზია.

***

— მითხარი, ვინ ხარ შენ და გეტყვი, ვინ არის შენი მეგობარი.

— მე მილიარდერი ვარ.

— მე ვარ შენი მეგობარი...

***

— ექიმო, მგონი, არასრულფასოვნების კომპლექსი მაქვს.

— მხოლოდ კომპლექსი?

***

ტიპი რესტორანში მივიდა, ბორში შეუკვეთა.

— თქვენ როგორი ბორში გინდათ, მწვანე, წითელი თუ ოჯახური?

— ოჯახური.

ოფიციანტმა ბორში მოუტანა, მაგიდაზე დაუდგა და დააყოლა:

— სად დაეთრეოდი მთელი ღამე, შე პირუტყვო, აჰა, ჩახეთქე!

**გ. თ.**

## ქართველი ფეხბურთელები კლუბის ძიებაში არიან

**ზამთრის სატრანსფერო პაუზის დროს 3 ქართველი ფეხბურთელი უკლუბოდ დარჩა. როგორც მახაჩყალის „ანჟის" ვებგვერდი გვამცნობს, გუნდი დატოვეს მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა, ნახევარმცველმა ზურაბ არზიანმა და თავდამსხმელმა გიორგი ილურიძემ. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ქართველთაგან მოედნის მოთამაშის სამივე ამპლუის ფეხბურთელმა დატოვა და დაღესტნური გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ მეკარე ნუკრი რევიშვილი დარჩა.**



საინტერესოა, რომ სამივე ქართველი ფეხბურთელი ისეთ ასაკშია, რომ მათთვის კარიერის დასრულებაზე საუბარი ნაადრევია.

ხიზანეიშვილი 29 წლის არის და „ანჟის" 2010 წლის ზაფხულში შეუერთდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ დროის მანძილზე ვერ მოახერხა, თავი მოეწონებინა კლუბის თავკაცებისთვის.

22 წლის არის ზურაბ არზიანი, რომელიც „ანჟიში" 2007 წლიდან თამაშობდა, მაგრამ როგორც კი საკონტრაქტო ვადა ამოეწურა, კლუბმა მისი გახანგრძლივება არ ისურვა.

18 წლის ილურიძეს მახაჩყალელებმა კონტრაქტი გასულ სეზონში გაუფორმეს, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელთან მეტი თანამშრომლობა აღარ ისურვეს.

ამჟამად, სამივე ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და ახალი კლუბების ძიებაშია. არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანი საქართველოში დაბრუნებულიც ვიხილოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## პატრიარქს პოეტებმა საღამო მიუძღვნეს

**ეკა ირემაშვილი**

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში პოეზიის საღამო სახელწოდებით „ქართველი პოეტები პატრიარქს" მოაწყო, რომელიც უშუალოდ ახალგაზრდული ცენტრისა და პოეტების ორგანიზებით ჩატარდა. ღონისძიებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო. საღამო მიეძღვნა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 33-ე წლისთავს.**

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ის პოეტები, რომელთაც მის უწმინდესობაზე ლექსი აქვს დაწერილი.



სამების ახალგაზრდულ ცენტრში შეკრებილი საზოგადოებისთვის საკუთარი ლექსები წაიკითხეს თემურ ჩალაბაშვილმა, ტარიელ ხარხელაურმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, რევაზ ამაშუკელმა, ლია სტურუამ, ზეინაბ მეტრეველმა, მარიამ წიკლაურმა და სხვა პოეტებმა.

პატრიარქის აღსაყდრებისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულდა საგალობლები, რომელიც შეასრულეს სიონის ტაძრის მგალობელთა გუნდმა, ანსამბლებმა „საგალობელი" და „ჭონა". მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ოქრომკედითა და მძივებით შესრულებული ნაქარგობები, ხატები, თექის ნამუშევრები, მინანქარი, ხის ზარდახშები და თოჯინები.

ღონისძიებას საქართველოს პატრიარქთან ერთად მღვდელმთავრები, მაღალჩინოსანი პირები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ტესტი

## რას ფიქრობთ საკუთარ თავზე

ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ: დიახ, არა.



1. კმაყოფილი ვარ ჩემი ამჟამინდელი სამუშაოთი და პირადი ცხოვრებით.
2. შემიძლია გავრისკო.
3. შემიძლია დახმარება ვითხოვო.
4. ვაფასებ, როდესაც ჩემს კარგად შესრულებულ სამუშაოს აფასებენ.
5. ვაფასებ საკუთარ თავს.
6. შეცდომებზე სწავლობენ.
7. როდესაც ადამიანს ვესაუბრები, თვალებში ვუყურებ.
8. შემიძლია ვითხოვო ის, რაც მსურს.
9. რეგულარულად ვვარჯიშობ და ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე.
10. ხანდახან ვეხმარები სხვებს.

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

0-5 ქულა: საკუთარ თავზე დაბალი წარმოდგენის ხართ და საკუთარ სურვილებზე მაღლა სხვის სურვილებს აყენებთ. დროა, შეცვალოთ სიტუაცია.

6-10 ქულა: საკუთარი თავი მოგწონთ ისეთი, როგორიც ხართ, თუმცა ხანდახან ივიწყებთ პრობლემებს.

**გ. თ.**